ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისისი სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი თანდაშვილი

ა.შ.შ.-ს „რებალანსირების სტრატეგია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: პროფესორი ეკა აკობია

თბილისი 2019

ანოტაცია

ამერიკის რებალანსირების სტრატეგია გარდამტეხი ეტაპი იყო ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობებში. ამ სტრატეგიის შემოღების შემდეგ იგი შეეცადა დაებალანსებინა ჩინეთის გავლენის ზრდა რეგიონში. მან გადაწყვიტა დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხედრო რებალანსირება. დიპლომატიური გულისხმობდა მის პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობის გაღრმავებას და ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ეკონომიკური გულისხმობდა ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესებას და ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, სამხედრო რებალანსირება კი საზღვაო ძალების შეყვანას და რეგიონის ქვეყნებთან სამხედრო ურთიერთობების დამყარებას გულისხმობდა. ეს ყველაფერი ჩინეთმა უარყოფითად აღიქვა და მისი ინტერესების წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად ჩათვალა. რებალანსირების სტრატეგიამ ზეგავლენა მოახდინა სამხრეთ ჩინეთის ზღვებში ტერიტორიული დავებზე, მიანმარის და ჩინეთის ურთიერთობებზე, დღის წესრიგში დადგა ჩინეთისთვის მალაკას დილემა. მიანმარს ჩინეთისთვის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა ჰქონდა, მისი საშუალებით შეეძლო ინდოეთის ოკეანეზე გასვლა და ასევე მალაკას სრუტის პრობლემის გადაჭრა. კიდევ ერთ პრობლემას ამერიკას და ჩინეთს შორის წარმოადგენდა ამერიკის შეხედულებები კომუნიზმზე. ამერიკა ცნობილია დემოკრატიის პროპაგანდით მსოფლიოში, მისი მაღალჩინოსნები ხშირად აკრიტიკებდნენ კომუნიზმს. ამერიკა წინააღმდეგი იყო ამ ტიპის მმართველობის, რასაც ოფიციალურად აცხადებდა, ეს კი ეწინააღმდეგებოდა ჩინეთის ინტერესებს. მისთვის შიდა სტაბილურობა სახელმწიფო ინტერესს წარმოადგენდა, რაც გულისხმობდა კომუნისტური პარტიის სათავეში ყოფნას. ა.შ.შ.-მ ასევე გამოთქვა ტრანს-წყნარი ოკეანის ეკონომიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბების ინიციატივა, რომელიც ჩინეთს გამორიცხავდა და ასევე საფრთხის ქვეშ აყენებდა, რადგან ეკონომიკური ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებლობა იყო, რომ ამერიკაში მისი პროდუქცია ორგანიზაციის წევრი სხვა ქვეყნების პროდუქციით ჩანაცვლებულიყო, ეს კი მისთვის დიდი დარტყმა იქნებოდა. ამერიკის რებალანსირების პოლიტიკა ჩინეთისადმი არ ნიშნავს, რომ იგი ცუდ როლშია და ჩინეთის მიმართ არასწორ დამოკიდებულებას იჭერს. სტრუქტურული რეალიზმიდან გამომდინარე მისი ქმედებები ბუნებრივი და

ადეკვატურია შექმნილ მფგომარეობაში. იგი ცდილობს მაქსიმალურ ძალაუფლებას მიაღწიოს ისევე, როგორც ჩინეთი, რომელიც ახლახანს გაძლიერდა და ასევე ცდილობს მაქსიმალური ძალაუფლების მიღებას. იგი იმეორებს აშშ-ს ქმედებებს, ცდილობს გახდეს ჰეგემონი რეგიონში, თუ ამას მიაღწევს შეიძლება აშშ-ს მსგავსი სახელმწიფო მივიღოთ მომავალში. ამერიკა მიუხედავად ამისა ცდილობდა ამ ყველაფრის გაკეთებას ჩინეთთან სამხედრო თვალსაზრისით ურთიერთობის დაძაბვის გარეშე, რადგან მისთვის მნიშვნელოვანი პარტნიორია.

Abstract

U.S. rebalance strategy was a key point in U.S.-China relationships. After U.S. instituted this strategy tried to balance China's influence in the region. He decided to rebalance in diplomatic, economic and military aspects. Diplomatic meant to deepen it's relationship with partner countries and to establish new relationships, military rebalance meant to enter naval powers and establish military relationships with the countries of the region. China saw these acts negatively and against it's core interests. Rebalance strategy also had impacts on territorial disputes in south china sea, Myanmar and China relationships, Malacca Dilemma was in dailym agenda of China. Myanmar had an important geopolitical location for China, it could have access to Indian ocean through Myanmar also decide Malacca streat problem. One more problem between U.S. and China is American view on communism. U.S.is famous with it's promotion of democracy in the world, it's high rank officials always criticized communism. U.S. has always been against such kind of rule and officialy stated it, this was against China's interests. For China domestic stable was it's core interest, which meant communist regime gavernance. U.S. also had Trans-Pacific Partnertship initiative, which did not mean China as it's member state and put it undet threat that organization member states would replace China's goods in U.S. markets and that would be great impact on it. U.S. rebalance policy to China doesn't mean that U.S. is in a bad role and is not right with China. According to structural realism U.S.acts are normal and adequate in that situation. U.S. is trying to reach maximum power, just like China, who has recently gained power and also tries to reach maximum power. China is trying to replicate U.S. become a hegemon in it's region and if it will be ablle to reach

this aim, maybe we will see a new countru just like U.S. Despite these cases, U.S. was trying to act like, not to have any military tensions with China, because it was an important partner.

სარჩევი

შესავალი_____1

თეორიული ჩარჩო_____5
ლიტერატურული მიმოხილვა

ა.შ.შ. ჩინეთის ურთიერთობები _____8

აშშ-ს რებალანსირების სტრატეგია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ჩინეთის რეაქცია_____14

ეკონომიკური კონკურენცია ამერიკას და ჩინეთს შორის_____26

სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ტერიტორიული დავები, მისი მნიშვნელობა ჩინეთისთვის და რებალანსირების გავლენა
_____28

მალაკას დილემა_____34

მიანმარის შემთხვევა_____37

დასკვნა_____42

ბიბლიოგრაფია_____44

შესავალი

ამერიკა წარმოადგენს მსოფლიოს წამყვან სახელწიფოს და ცივი ომის შემდეგ საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე არ ჩანდა მისი კონკურენტი, თუმცა 21-ე საუკუნის დასაწყისიდან ჯერ რუსეთმა დაიწყო მცდელობა გამხდარიყო მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფო, შემდეგ კი ჩინეთმა. მსოფლიოს გლობალური პოლიტიკა მოეწყო კონკურენციის პრინციპზე.

ამერიკა განსხვავდება რუსეთისგან და ჩინეთისგან გარკვეული კრიტერიუმით, მასთან ყველაზე ახლო კონკურენტად შეიძლება ამ მხრივ რუსეთი მივიჩნიოთ. ამერიკა წარმოადგენს გლობალურ ლიდერს და არა მხოლოდ რეგიონულს, იგი წამყვანი სახელმწფოა მსოფლიოში, ერევა უამრავ კონფლიქტში მსოფლიოს მასშტაბით და არ არის დაინტერესებული მხოლოდ საკუთარ რეგონზე გავლენის დამყარებით, ჩინეთი ძირითადად საკუთარ რეგონზეა კონცენტრირებული და მეზობელ სახელმწიფოებზე გავლენის დამყარებას ცდილობს, რუსეთი სცდება საკუთარ რეგიონს და ინტერესდება მაგალითად სირიის კონფლიქტით, თუმცა მისი დაინტერესების სფერო უფრო ნაკლებმასშტაბურია ვიდრე ამერიკის, ამას გარდა ამერიკა არამხოლოდ სამხედრო მოქმედებებით გამოირჩევა მთელ მსოფლიოში, არამედ მსოფლიოს მთავარ ენას და ვალუტას, ინგლისური ენა და ამერიკული დოლარი წარმოადგენს, არა რუსული რუბლი და ჩინური იენი.

ჩინეთის შემთხვევა გამოირჩევა და განსხვავდება რუსეთის შემთხვევისგან და ჩემი აზრით დღესდღეობით მსოფლიო პოლიტიკაში საკვანძო საკითხი სწორედ მათი ურთიერთობაა. განსხვავებით რუსეთისა ჩინეთის ეკონომიკა უფრო ძლიერია, რაც ასევე მოიაზრებს სამხედრო გაძლიერებასაც. 2010 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით თანაფარდობა ჩინეთს და ამერიკას შორის უკვე დაახლოებით ½ თან იყო, რუსეთტან შედარებით კი 1/7(BANK, 2019)ამას გარდა ამერიკა უკვე კარგავდა გავლენას რეგიონზე ვინაიდან, ჩინეთი უფრო საჭირო პარტნიორი იყო რეგიონის ქვეყნებისთვის. ეკონომიკურად უფრო დაუკავშირდნენ ჩინეთს ვიდრე ამერიკას, ექსპორტ-იმპორტის დონით თითქმის ორჯერ მეტი იყო სხვაობა ჩინეთს და ამერიკას შორის ამ ქვეყნებისთვის. (Exports, 2019)უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამ დამოკიდებულებისა ეკონომიკურად რეგიონის ზოგიერთ ქვეყანას დავა ჰქონდა

ჩინეთთან სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ტერიტორიების განაწილების გამო. ამერიკის რებალანსირების ერთ-ერთი მიზეზი ამ ქვეყნების მიერ მისი მოხმობა იყო. ამერიკის მიზანს წარმოადგენდა რეგიონში მშვიდობის დამყარება, დიპლომატიური კავშირების გაღრმავება თავის პარტნიორ ქვეყნებთან, ეკონომიკური ინტეგრაცია რეგიონში, სამხედრო ძალის შეყვანა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ჩინეთმა ეს ყველაფერი საკუთარ გაძლიერებაზე პასუხად აღიქვა ამერიკის მხრიდან და მტრულ დამოკიდებულებად ჩათვალა, ამერიკის მოქმედებები რეალურად ჩინეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, რაც ნაშრომში უკეთ გამოჩნდება.

ოფიციალურად ჩინეთი თავის საგარეო პოლტიკას შემდეგნაირად განსაზღვრავს: შიდა პოლიტიკური სტაბილურობა, სუვერენიტეტის დაცვა, ტერიტორიული ინტეგრაცია და მთლიანობა, ხოლო მესამე, ეკონომიკური და სოციალური განვითარება. (Jisi, 2011)

შიდა პოლიტიკურ სტაბილურობაში ჩინეთი კომუნისტური პარტიის მმართველობაში დარჩენას გულისხმობს, (Jisi, 2011) ამისთვის კი ძალიან მნიშვნელოვანია გარემო სადაც ქვეყანას მოქმედება უწევს, ამიტომაც ცდილობს ჩინეთი გაძლიერებას და საერთაშორისო საზოგადოებაში ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბებას. 1949 წლიდან მოყოლებული მას შემდეგ, რაც კომუნისტური მთავრობა მოვიდა სათავეში ჩინეთი ცდილობს გაძლიერდეს და დიდება მოიპოვოს, რაც საუკუნეების განმავლობაში ელახებოდა სხვადასხვა შემოჭრის გამო უცხო ქვეყნების მხრიდან. პრეზიდენტმა ქსი ჯინპინმა მას შემდეგ რაც მოვიდა სათავეში, ეროვნულ მუზეუმში ჩაატარა გამოსვლა სახელწოდებით, „გზა აღორძინებისკენ“. ქსიმ ისაუბრა ქვეყნის შანსებზე, რომ აასრულოს „ჩინეთის ოცნება“, ასევე იმ შიდა რეფორმებზე, რაც საჭიროა ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის. (Jisi, 2011)

2011 წელს ავსტრალიაში ბარაკ ობამას გამოსვლა აღქმული იქნა, როგორც ამერიკის მცდელობა შეანელოს ჩინეთის განვითარება, როგორც მნიშვნელოვანი რეგიონული ძალის. ობამას სიტყვებია, რომ ძველი მმართველობის მოდელები კომუნიზმი და ფაშიზმი, ერთი კაცის მმართველობა არ ამართლებს, რადგან არ ითვალისწინებს უმთავრესს, ხალხის სურვილს. (House, 2012)ამერიკის მსგავსი განცხადებები ხშირად

გვხვდება, რადგან დემოკრატიის აქტიურ პროპაგანდას ეწევა ეს ქვეყანა, რადგან თვითონაც დემოკრატიულ სახელმწიფოს წარმოადგენს ცდილობს სხვა ქვეყნებშიც გაავრცელოს, განსაკუთრებით უპირისპირდება კომუნიზმს და მსგავს მმართველობის სისტემებს ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე.

ჩინეთს არ ჰყავს ალიანსები განსხვავებით ამერიკისგან, იგი სტრატეგიულ პარტნიორობებს ანიჭებს უპირატესობას. 2012 წელს ჩინეთმა განაახლა ორმხრივი ურთიერთობის შეთანხმება ტაილანდთან, ასევე ინდონეზიასთან და მალაიზიასთან, 2014 წელს სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებები გააფორმა, სამხრეტ კორეასთან ავსტრალიასთან ვიეტნამთან. (Huang & Fengg , 2014)

ჩინეთისთვის რეგიონში ამერიკის რებალანსირების სტრატეგია საფრთხის შემცველი იყო, ვინაიდან საფრთხეს უქმნიდა არამარტო მის გავლენას რეგიონში, არამედ ამერიკაზე ხდებოდა დამოკიდებული. მისი ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობა სწორედ მასზე ხდებოდა დამოკიდებული, რადგან ჩინეთის საზღვაო სატრანსპორტო გზების ამერიკის იმ ტერიტორიაზე გადის, სადაც ამერიკას თავისი საზღვაო ძალები ჰყავს განლაგებული, ამას გარდა მისი მოდავე სახელმწიფოები სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონში, რომელთაგან უმრავლესობა ამერიკის მოკავშირეები არიან მისთვის დამატებით პრობლემას წარმოადგენს. ამერიკის რებალანსირების სტრატეგია მის პარტნიორებთან კავშირების აღდგენასაც გულისხმობდა.

თემა საკმაოდ საინტერესოა სხვადასხვა ფაქტორბის გათვალისწინებით, კონკურენცია ამერიკას და ჩინეთს შორის არ არის ამოწურული და დღესაც მიმდინარეობს, საინტერესოა საკითხით დაინტერესებული ადამიანისთვის არსებული სიტუაციის წინაისტორია, როგორ ვითარდებოდა მოვლენები და რა დაედო საფუძვლად არსებულ მდგომარეობას. რეალურად საქმე ეხება ორ სუპერსახელმწიფოს, ერთი, რომელიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიოს ჰეგემონია და უძლიერესი სახელმწიფო, უდიდესი გავლენის სფეროთი და ეკონომიკით, ამ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატები, მეორე კი ახლადგაძლიერებული ჩინეთი, კომუნისტური პარტიით სათავეში, რომელიც იმ პერიოდში რა პერიოდზეც ჩვენ გვექნება საუბარი, ობამას პრეზიდენტობის

პერიოდი 2009-15 წლებში, უკვე მნიშვნელოვნად იყო გაძლიერებული ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით.

საკვლევი კითხვა იქნება შემდეგი: რატომ მიიჩნია ჩინეთმა საფრთხედ საკუთარი ინტერესებისთვის, ამერიკის რებალანსირების სტრატეგია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში.

აღნიშნული კითხვა გამომდინარეობს ამერიკის ოფიციალური პოზიციიდან, რომელიც როგორც თემაში ჩანს მშვიდობიანი და ურთიერთთანადგომისკენაა მიმართული ჩინეთთან დაკავშირებით, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო ჩინეთმა ჩათვალა, რომ ეს დამოკიდებულება არ იყო მეგობრული.

ჰიპოთეზა: რებალანსირების სტრატეგიის შემოღების შედეგად საფრთხე შეექმნა ჩინეთის ჰეგემონიას და პოზიციებს რეგიონში

დამოუკიდებელი ცვლადი:რებალანსირების სტრატეგია

დამოკიდებული ცვლადი: ჩინეთი.

კვლევის მეთოდოლოგია: ერთეული შემთხვევის შესწავლა

კვლევის აღნიშნული მეთოდოლოგია კარგად ერგება საკითხს, რადგან საჭირო იქნება ნაშრომის განმავლობაში ცალკეული შემთხვევების შესწავლა. ამ შემთხვევაში ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე შევეცდები შევისწავლო რამდენიმე ქეისი, ეს არის სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ტერიტორიული დავების საკითხი, განვიხილავ თუ რა ცვლილებები შეიტანა ამერიკის რეგიონში გამოჩენამ და რა პრობლემები შეექმნა ჩინეთს, ასევე განვიხილავ მალაკას დილემას, რაშიც იგულისხმება ჩინეთის ენერგოუსაფრთხოება და ასევე მისი სავაჭრო გზების უსაფრთხოება, რადგან ამ სრუტეზე გადის ჩინეთის დამაკავშირებელი საზღვაო გზები დანარჩენ მსოფლიოსთან და ამ სრუტეს ამერიკა და მისი მოკავშირეები აკონტროლებენ, რაც ჩინეთის ეროვნული ინტერესებისთვის პრობლემას წარმოადგენს. კიდევ ერთი საინტერესო საკითხია მიანმარის საკითხი, რომელიც გამორჩეული შემთხვევაა რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ვინაიდან თავიდან კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდა ჩინეთთან, მაგრამ ვინაიდან

მნიშვნელოვნად იყო მასზე დამოკიდებული და ამერიკამ რეგიონით დაინტერესება გამოხატა, იგი ამერიკასაც დაუახლოვდა, რომელთანაც ფაქტიურად დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილი ჰქონდა. ამერიკაც თავის მხრივ დაინტერესდა ამ ერთ-ერთი საკვანძო ფიგურით რეგიონში, მიანმარის გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე. მასზე გავლენის შემთხვევაში ჩინეთს ბევრი პრობლემის გადაჭრა შეუძლია, რაც გამოჩნდება ნაშრომში.

თეორიული ჩარჩო

აშშ-ჩინეთის ურთიერთობებს ნეორეალიზმის თეორია ძალიან აკარგად ხსნის. რეალიზმის მიმდევრებს სჯერათ, რომ ძალაუფლება არის განმსაზღვრელი საერთაშორისო პოლიტიკაში. დიდი ძალები ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევენ ეკონომიკურ და სამხედრო სიძლიერეს. ისინი დარწმუნებული უნდა იყვნენ ყოველთვის, რომ არამარტო თვითონ მოიპოვონ ძალაუფლება, არამედ სხვა სახელმწიფოებმა მათ ბევრად ვერ გაასწრონ სიძლიერეში. ამ შემთხვევაში ამერიკას სჭირდებოდა დარწმუნებულიყო, რომ მზარდი სახელმწიფო სხვა რეგიონში ვერ გაასწრებდა სიძლიერეში და ამიტომაც ამ სახელმწიფოს მიზნის მიღწევამდე გადადგა ნაბიჯი და რეგიონში რებალანსირების სტრატეგია წამოიწყო. კლასიკური რეალიზმის მიმდევრებისთვის, როგორიც მორგენთაუა, ყველაფერი მომდინარეობს ადამიანის ბუნებიდან და ადამიანის ძალაუფლებისკენ მიდრეკილება განაპირობებს შემდეგ სახელმწიფოების ძალაუფლებისკენ მიდრეკილებასაც. ეს მოსაზრება ნაკლებად დამაჯერებელია, ვინაიდან ძალიან მარტივად ხსნის საერთაშორისო პოლიტიკას. სტრუქტურული რეალიზმი ანუ ნეორეალიზმი ჩემი აზრით უფრო სრულყოფილ და კომპლექსურ ახსნას გვთავაზობს. მათი აზრით იმის მიზეზი თუ რატომ მიისწრაფვიან სახელმწიფოები ძალაუფლებისკენ არის საერთაშორისო სისტემის არქიტექტურა. ეს არის სისტემა სადაც არ არსებობს უზენაესი ძალა, არ არსებობს გარანტია, რომ ისინი არ დაესხმიან ერთმანეთს თავს, მათ უნდა იზრუნონ საკუთარი თავის გაძლიერებაზე, რათა მუდმივად მზად იყვნენ თავის დასაცავად. (MEARSHEIMER, 2019)

კულტურული სხვაობა ნეორეალიზმისთვის უმნიშვნელოა, რადგან სახელმწიფოები მაინც იგივე წესებით მოქმედებენ და არ აქვს მნიშვნელობა ავტოკრატიულია სახელმწიფო თუ დემოკრატიული. ამ შემთხვევაში დემოკრატიული ამერიკა დგამს ნაბიჯს, ცდილობს რეგიონში გავლენის გაზრდას და ჩინეთის ძლიერების დაბალანსებას. ჩინეთი, რომელსაც კომუნისტური მთავრობა ჰყავს სათავეში და ამერიკა დემოკრატიული მთავრობით, ორივე მიისწრაფვის მაქსიმალური სიძლიერისკენ.

ნეორეალისტებს შორის არსებობს განსხვავება იმასთან დაკავშირებით თუ როგორ თვლიან, რამდენი ძალაა საკმარისი სახელმწიფოსთვის. თავდაცვითი რეალიზმის მიმდევარი კენეთ უოლცი თვლის, რომ სახელმწიფო არ უნდა ეცადოს ძალაუფლების მაქსიმიზაციას, ვინაიდან ამის გამო შესაძლოა თვითონ სისტემამ დასაჯოს იგი, თავდასხმითი რეალიზმის მიმდევარი ჯონ მერშაიმერი კი თვლის, რომ სახელმწიფომ ძალაუფლება მაქსიმალურად უნდა გაზარდოს და თუ მდგომარეობა ხელს შეუწყობს ჰეგემონიც გახდეს, როგორც ამის გაკეთებას ამერიკა ცდილობს. (MEARSHEIMER, 2019)

ნეორეალისტურ მიდგომას გააჩნია 5 დაშვება იმის ასახსნელად თუ რატომ მიისწრაფვიან სახელმწიფოები ძალაუფლების გაზრდისკენ.

1. დიდი სახელმწიფოები არიან მთავარი აქტორები მსოფლიო პოლიტიკაშ და ისინი მოქმედებენ ანარქიულ გარემოში. ეს არ ნიშნავს, რომ ქაოსი და უწესრიგობაა სისტემაშ. ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს სახელმწიფოზე მაღლა მდგომი ძალა.
2. ყველა სახელმწიფოს გააჩნია გარკვეული ძალა, თუმცა განსხვავებული ერთმაეთისგან, მათ შეუძლიათ ავნონ ერთმანეთს.
3. სახელმწიფოები არ არიან დარწმუნებული ერთმანეთის განზრახვაში, მათ აინტერესებთ სურთ თუ არა სხვა სახელმწიფოებს ძალთა ბალანსის დარღვევა.
4. სახელმწიფოები პირველ რიგში გადარჩენისთვის ზრუნავენ, სახელმწიფოები ხშირად შეცდომებს უშვებენ რადგან აქვთ არასრული ინფორმაცია ზოგჯერ.

5. სახელმწიფოები არიან რაციონალურები, რის გამოც გადასარჩენად ყოველთვის გაძლიერებაზე ფიქრობენ.

სახელმწიფოებს ეშინიათ ერთმანეთის და არ ენდობიან. ისინი მხოლოდ საკუთარ თავზე არიან დამოკიდებულნი. ეს არ გამორიცხავს სახელმწიფოების ალიანსს საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ ასევე ისინი დააყენებენ საკუთარ ინტერესებს სხვა სახელმწიფოს ინტერესებზე წინ. რაც უფრო ძლიერია სახელმწიფო მით უფრო მცირეა მასზე თავდასხმის საშიშროება. ამის გამო დიდი ძალები მუდმივად ცდილობენ ძალთა ბალანსის თავის სასარგებლოდ გადაწონვას. (MEARSHEIMER, 2019)

თავდაცვითი რეალიზმის მიმდევრების მოსაზრებით, თუ ერთი სახელმწიფო ზედმეტად გაძლიერდება მაშინ საჭირო იქნება მისი დაბალანსება, ამიტომაც სხვა ძლიერმა სახელმწიფოებმა შესაძლოა შექმნან კოალიცია, რათა გაძლიერდნენ ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით. თავდასხმითი რეალიზმის მიმდევრები კი თვლიან, რომ შესაძლოა სახელმწიფოები გაერთიანდნენ, მაგრამ ეს იქნება არაეფექტური. ორივე თეორიის მიმდევარი თანხმდება იმაზე რომ ატომურ იარაღით დამუქრება ნაკლებად ეფექტურია, ვინაიდან თუ ორივე მხარეს აქვს იგი, ნაკლებსავარაუდოა, რომ რომელიმემ ის რეალურად გამოიყენოს. (MEARSHEIMER, 2019)

უოლცი ამტკიცებს, რომ სტრუქტურული თეორიის მიხედვით უნიპოლარული სისტემა ყველაზე ხანმოკლეა ორი მიზეზის გამო(ამ შემთხვევაში აშშ-ს დომინირებით არსებული სისტემა): პირველი, დომინანტური ძალები თავისთავზე ძალიან ბევრს იღებენ და საბოლოოდ თავიანთ თავს ასუსტებენ და მეორე, რაც არ უნდა რბილად და მოზომილად მოიქცეს დომინატური ძალა სუსტი სახელმწიფოები მაინც ეცდებიან მისი ძლიერების დაბალანსებას. ადრე თუ გვიან ძალთა ბალანსი აღსდგება. ნეორეალიზმის ერთადერთი მინუსი არის ის, რომ ვერ ამბობს ზუსტად როდის. უოლცი ამტკიცებს, რომ დამაბალანსებელი ტენდენციები უკვე შეიმჩნევა. უოლცის თქმით მომავალი ძლიერი სახელმწიფოები, რომლებიც აღადგენენ ძალთა ბალანსს არიან ევროკავშირი ან

გერმანია, რომელიც კოალიციას ჩაუდგება სათავეში; ასევე ჩინეთი, იაპონია და უფრო შორეულ მომავალში რუსეთი. (აკობია, 2019)

საინტერესოა ასევე თავდასზხმითი ნეორეალიზმის მოსაზრება ჩინეთის გაძლიერებასთან დაკავშირებით. თავდასხმითი ნეორეალიზმი თვლის, როგორც უკვე ავღნიშნე, სახელმწიფო უნდა ეცადოს, რომ გახდეს ჰეგემონი, რათა თავი გადაირჩინოს ამ გზით. სახელმწიფოსთვის თითქმის წარმოუდგენელია მიაღწიოს იმხელა ძლიერებას, რომ გახდეს ჰეგემონი არამარტო რეგიონში არამედ მთელ მსოფლიოში, ამიტომაც კარგი გამოსავალია თუ გახდება რეგიონში ჰეგემონი, ხოლო სხვა ქვეყნებს, რომლებსაც იგივეს გაკეთების პოტენციალი აქვთ საკუთარ რეგიონში, ხელს შეუშლის. ამერიკის მაგალითს თუ ავიღებთ 1898 წლისთვის უკვე მიაღწია რეგიონულ ჰეგემონობას, გერმანიის, იმპერიული იაპონიის და საბჭოთა კავშირს ხელი შეუშალა რეგიონულ ჰეგემონიაში. ამ შემთხვევაშიც იგი არ ურიგდება ჩინეთის გაძლიერებას, ნეორეალიზმის აზრით კი საკმაოდ ბუნებრივია, რომ ჩინეთი თავის მხრივ საკუთარ „უკანა ეზოში“ ამერიკის საზღვაო ძალების ყოფნის წინააღმდეგია, ისევე როგორც ამერიკა იქნებოდა ჩიენთის საზზღვაო ძალების დასავლეთით გადასროლის შემთხვევაში მის ნაპირებთან. ამ შემთხვევაში არამხოლოდ ჩინეთ-ამერიკის რეაქცია მიიჩნევა ბუნებრივად, არამედ ჩინეთის მეზობელი ქვეყნებისაც, რომლებიც ხედავენ ჩინეთის გაძლიერებაას რეგიონში და რეგიონულ ჰეგემონად ჩამოყასლიბებას. ისევე როგორც ჩინეთს ამერიკასაც აწყობს სამხედრო შესაძლებლობების მხრივ სუსტი მეზობლები საკუთარი ჰეგემონიის უზრუნველსაყოფად. (Dunne, Kurki, & Steve, 2016)

ლიტერატურის მიმოხილვა

აშშ ჩინეთის ურთიერთობები

ამერიკის პოლიტიკა ჩინეთის მიმართ ოფიციალურად პოზიტიური იყო, როდესაც ამერიკის მაღალი რანგის წარმომადგენლები ოფიციალურ შეხვედრებზე გამოდიოდნენ ბარაკ ობამას მოსვლის შემდეგ სათავეში, გახშირდა განცხადებები ჩინეთთან და რეგიონთან დაკავშირებით, ისინი მიესალმებოდნენ ჩინეთის ეკონომიკურ გაძლიერებას. ობამას განცხადებით 2013 წელს, იგი მიესალმება ჩინეთის გაძლიერებას, რადგან თუ ჩინეთი წარმატებული იქნება, მსოფლიო ეკონომიკაც წინ წავა, ჩინეთი

იქნება იმ მდგომარეობაში, როცა თანასწორ პარტნიორობას გაუწევს ამერიკას გლობალური გამოწვევების წინაშე. (Office, “Remarks by President Obama and President Xi Jinping of the, 2019)

ამერიკის მთავრობას ასევე სჭირდებოდა იმის გარანტია, რომ ჩინეთის ზრდა ნამდვილად მშვიდობიანი იყო, ამიტომაც მისი მეზობლების უსაფრთხოების მიზნით, რაც ერთერთ მიზანს წარმოადგენდა, ასევე მას სჭირდებოდა ჩინეთთან ახლო ურთიერთობა და ურთიერთობის სფეროს გაფართოება, სამხედრო, ეკონომიკურ და დიპლომატიურ დონეზე, მათ დაიწყეს რებალანსირების სტრტეგია სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის რეგიონში. (Bade, 2012)

2011 წელს ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ ომები ავღანეთსა და ერაყში ამერიკას ძალას ართმევენ, ამიტომაც ისინი ცვლიან თავიანთ ყურადთღების ცენტრს დიდი პოტენციალის მქონე სამხრეთ აღმოსავლეთ აზიისკენ. (House, 2012). მათ მიზანს წარმოადგენდა ალიანსების გაძლიერება ისეთ ქვეყნებტან, როგორიცაა იაპონია, ავსტრალია, სამხრეთ კორეა, ფილიპინები და ტაილანდი. აშშ მუდმივად აცხადებდა ნეიტრალიტეტის შესახებ, თუმცა მოგვიანებით, როდესაც რებალანსირების სტრატეგია ძალაში შევიდა მას გარკვეული ნაკლოვანებები გამოუჩნდა, რაც აისახა ზოგიერთ ნაშრომში.

რებალანსირების სტრატეგიას აკრიტიკებენ იმ მიზეზის გამო-, რომ უფრო მეტად სამხედრო სფეროზეა კონცეტრირებული და სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ტერიტორიულ დავებში ამერიკის ალიანსები უფრო მეტ მხარდაჭერას მიიღებენ ვიდრე ჩინეთი, რომელიც რაღაც მხრივ იჩაგრება ამ შემთხვევაში, ეს ამცირებს ჩინეთის ნდობას და რეგიონში დაძაბულობას ზრდის შემცირების ნაცვლად. (Ross, 2012)

ბარაკ ობამამ გაპრეზიდენტების შემდეგ გადაწყვიტა ჰქონოდა უფრო ახლო სამხედრო თანამშრომლობა ჩინეთთან. მისი აზრით სამხედრო თანამშრომლობასთან დაკავშირებით ურთიერთობების და საუბრის არ არსებობა გამოიწვევს უფრო მეტ

არასაჭირო რისკს, ვიცე პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებით ჩინეთი უფროდაუფრო მეტად ანვითარებს რეგიონში თავის სამხედრო ძალას, ამერიკაც თავის მხრივ რეგიონით არის დაინტერესებული და შეჰყავს სამხედრო ძალა, შესაბამისად მათი, როგორც ორი დიდი ძალის დიალოგი და თანამშრომლობა აუცილებელია. (State, 2019)

2009 და 2011 წელს გამოქვეყნდა ამერიკის და ჩინეთის საერთო განცხადებები სამხედრო თანამშრომლობასთან დაკავშირებით. ამ პერიოდში ჩინეთის პრეზიდენტი იყო ჰუ ჯინტაო, თუმცა ითვლება, რომ მომავალი პრეზიდენტის ქსი ჯიპინის ვიზიტი პენტაგონში 2012 წელს ვიცე პრეზიდენტის რანგში, იყო გადამწყვეტი ფაქტორი ამერიკა ჩინეთის სამხედრო თანამშრომლობასთან დაკავშირებით. თავდაცვის მინისტი ჰეგელი 2013 წელს სინგაპურში აცხადებს, რომ თანამშრომლობა ჩინეთს და ამერიკას შორის თანდათანობით ვითარდება. (Defense, 2013) მისი აზრით გადამწყვეტი ფაქტორეები იყო რამოდენიმე ჩინეთ-ამერიკის სამხედრო თანამშრომლობაში:

1 ქსი ჯინპინგის 2012 წლის ვიზიტი პენტაგონში და წყნარი ოკეანის საზღვაო ძალების ადმირალის ვიზიტი ჩინეთში, ასევე თავდაცვის მინისტრის ლეონ პანეტას ვიზიტი 2012 წელს.

2 2013 წელს ჩინეთის პირველი მონაწილეობა დამკვირვებლის სტატუსით ამერიკა-ფილიპინების ერთობლივ წვრთნებში 2013 წელს.

3 პირველი ერთობლივი ამერიკა ჩინეთის ანტი სამეკობრეო წვრთნები ადენის ყურეში 2012 წელს სექტემბერში.

4. პირველად ამერიკკამ ჩინეთი მიიწვია, რომ მიეღო მონაწილეობა აშშ ყველაზე დიდ სამხედრო წვრთნებში წყნარ ოკეანეში 2014 წელს, რასაც ჩინეთი დათანხმდა. (Defense U. D., 2019)

ასევე შეთანხმდნენ ქვეყნები, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უმასპინძლებს ჩინეთის თავდაცვის მინისტრს ჩანგ ვენქანს 2013 წელს. (Defense U. D., 2019) ასევე ჰეგელის ვიზიტი 2014 წელს.

2013 წელს ივლისში ორმა ქვეყანამ გააფართოვა თანაშრომლობის სფერო, რაც შეეხება შეიარაღებასა და ატომურ პოლიტიკას. (Defense U. D., 2019)

ამერიკის და ჩინეთის ეკონომიკები მსოფლიოში პირველ და მეორე ადგილებს ინაწილებენ და მნიშვნელოვნად არიან ურთიერთდამოკიდებულნი. ბარაკ ობამას აზრით ეს ორი ეკონომიკა გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვან თანამშრომლობაზეა დაფუძნებული ჩართულია ჯანსაღ კონკურენციაში. (Office, 2013) მათ ერთმანეთის სტრატეგიებთან ჰქონდათ პრობლემები რამდენიმე საკითხში, ჩინეთის კომერციული კიბერ თავდასხმა, ჩინეთის სავალუტოდა ინდუსტრიული პოლიტიკა და ინტელექტუალური საკუთრების სუსტი დაცვა ჩინეთის მხრიდან. რაც შეეხება ჩინეთის და ამერიკის ეკონომიკურ კავშირებს, რამდენიმე ფაქტორია გამოსაყოფი

1. 2012 წლისთვის ამერიკის და ჩინეთის მთლიანი შიდა პროდუქტი 1-2თან იყო თანაფარდობაში, ამერიკა 15.68 ტრილიონი ხოლო ჩინეთი 8.227 ტრილიონი. (Bank, 2019)
2. ჩინეთი ამერიკისთვის 2012 წლისთვის მეორე უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენდა კანადის შემდეგ, შეადგენდა 536 მილიარდ დოლარს. აქედან ჩინეთის ექსპორტი კანადაში იყო 426 მილიარდი დოლარი, ხოლო ამერიკის ექსპორტი ჩინეთში 111 მილიარდი.
3. ჩინეთის ოფიციალური მონაცემების მიხედვითნ, ამერიკა ჩინეთისთვის იყო უდიდესი სავაჭრო პარტნიორი. (Martin.)
4. ამერიკის ოფიციალური მონაცემების მიხედვით ჩინეთი ამერიკის იმპორტის 19% უზრუნველყოფს, ხოლო ჩინეთში ექსპორტი ამერიკის ექსპორტის 7% შეადგენს.
5. ჩიენთი სულ მცირე 124 ქვეყნისთვის უფრო დიდი სავაჭრო პარტნიორია ვიდრ აშშ 2012 წლისთვის. (McDonald, 2012)
6. ჩინეთი არის ამერიკის ვალისუდიდესი მფლობელი, 1.32 ტრილიონი დოლარი 2013 წლისთვის,. ეს შეადგენს დაახლოებით 23.3% მთლიანი საგარეო ვალის რაც ამერიკას აქვს ქვეყნების მიმართ, ხოლო საერთო ვალის 7.9% შეადგენს. (Treasury, 2019)
7. ამერიკული ბიზნეს-კომპანიების ინვესტიციამ 2010 წელს შეადგინამ 60.5 მილიარდი დოლარი, რაც 21.4%-ით მეტია ვიდრე 2009 წელს (ustr.gov, 2019)˜ჩინეთის ინვესტიციამ ამერიკაში 3.8 მილიარდი დოლარი შეადგინა 2011

წელს, 2013 წლის ჩინეთის მონაცემებით, პირდაპირმა ინვესტიციებმა 2013 წლისთვის 20 მილიარდ დოლარს მიაღწია (Hanemann, 2019)

ჩინეთი მიუხედავად ოფიციალურ დონეზე გარკვეულწილად ნორმალური თანამშრომლობისა მაინც უნდობლად უყურებდა ამერიკას და ამის რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ამერიკის მთავრობისთვის ჩინეთთან ურთიერთობის დროს მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ამ უკანასკნელის კომუნისტური პარტია ადამიანის უფლებების და დემოკრატიას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. კომუნისტური პარტიის გარდა არსებობს სხვა პოლიტიკური ძალებიც, თუმცა მათი არსებობა ფორმალურია და რაიმე რეალური ძალაუფლება არ გააჩნია. ამას გარდა პარტია არ არის ტოლერანტული ნებისმიერი გამოსვლების, ასამბლეების, რელიგიის, რომელიც საეჭვოა და საფრთხეს უქმნის კომუნისტური პარტიის მმართველობას, თუმცა თვითონ ჩინეთის აზრით თანამედროვე ჩინეთის მოსახლეობა ასეთი თავისუფალი არასდროს ყოფილა, მათ შეუძლიათ აირჩიონ სად იცხოვრონ, იმუშაონ, სოციალურმა მედიამაც გაზარდა ტავისი სამოქმედო არეალი, თუმცა იგი მაინც არის კომუნისტური პარტიის ცენზურის ქვეშ. (House, 2012)

2012 წელს ბანგკოკის კონფერენციაზე, ობამას ჰკითხეს, რამდენად მოსწონს ჩინეთის სისტემა, მან კი გააკრიტიკა იგი და უპასუხა, რომ ჩინეთი გვერდს უვლის დემოკრატიას და შემდეგ რაღაც მექანიზმებით ახერხებს ეკონომიკურ წინსვლას, ეს მისი აზრით სიყალბეა და ადრე თუ გვიან ასეთი სისტემა დაიშლება, რადგან დემოკრატიის ერთადერთი ალტერნატივა მისთვის ყალბი იმედია, რასაც ხალხი ადრე თუ გვიან დასასრულს მოუძებნის, რადგან მათი მიზნები არ სრულდება. (House, Remarks by President Obama to the Australian Parliament, 2012)

ერთი წლით ადრე ავსტრალიაში ვიზიტის დროს ობამა საუბრობდა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებაზე აირჩიოს ხელისუფალი, მას პირადად არ უხსენებია ჩინეთი, თუმცა აშკარა იყო, რომ მას გულისხმობდა. ობამამ განაცხადა, რომ კომუნიზმი არის არ გამომდგარი მმართველობის ფორმა, ასევე თქვა, რომ კეთილდღეობა ტავისუფლების გარეშე, სიღარიბის ერთერთი ფორმაა, რაშიც

სავარაუდოდ ჩინეთის ეკონომიკურ გაძლიერებას და მის კომუნისტურ მმართველობას გულისხმობდა. (HOUSE, 2019)

ამერიკა ყოველთვის უწევდა დემოკრატიის პროპაგანდას და ამის გამო გარკვეული უნდობლობა ჩამოყალიბდა ჩინეთს და ამერიკას შორის. ამერიკას არ მოსწონდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის მონოპოლია, რაც ჩინეთის მთავრობისთვის პრობლემას წარმოადგენდა. შეხვედრის დროს ჩინეთის მაღალი რანგის წარმომადგენლებთან ამერიკელებს მოჰყავდათ მაიკლ პოსნერის სიტყვები, რომელიც იყო ყოფილი თანაშემწე გნერალური მდივნის ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში, საზოგადოებები, რომლებიც პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს და მათ მისწრაფებებს, უფრო წარმატებული და სტაბილურები არიან. (Posner, 2019) ამით ცდილობდა ამერიკა გავლენა მოეხდინა ჩინეთზე და მოეხსნა შეზღუდვები სიტყვის თავისუფლებაზე, ინტერნეტის, რელიგიის თავისუფლებაზე, ეთნიკური უმცირესობების უფლებები დაეცვა და ასევე მუშახელის.

კიდევ ერთი საკითხი რის გამოც ამერიკის მიმართ ჩინეთი უნდობლობითაა განწყობილი ტაივანის საკითხია, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ რებალანსირების სტრატეგიაში არ შედის გავლენას ახდენს ჩინეთ-ამერიკის დამოკიდებულებაზე ერთმანეტის მიმართ.

ტაივანი, როგორც ამერიკის ეკონომიკური და ასევე უსაფრთხოების საკითხებში მისი პარტიორი რეგიონში, არის ძლიერი ეკონომიკური ძალა და მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა გააჩნია, გარდა ამისა არის დემოკრატიული სახელმწიფო. ამერიკისთვისაც და ჩინეთისტვისაც ტაივანი მნიშვნელოვან სახელმწიფოს წარმოადგენს და ორივე ცდილობს მასზე კონტროლის დამყარებას. მას შემდეგ, რაც ნაციონალისტური პარტია ტაივანში გამაგრდა 1949 წელს, მათ შეინარჩუნეს დემოკრატიული სახელმწიფო და მშვიდობა ტაივანის სრუტეში, რასაც მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ამერიკამ კი ტაივანის მხარე დაიკავა და დახმარება გაუწია უსაფრთხოებაში. ამას მოჰყვა სხვადასხვა თავდაცვითი შეთანხმებები 1954 წელს, რის შემდეგაც კიდევ უფრო დაახლოვდა ეს ორი ქვეყანა და აწარმოებდნენ საერთო წვრთნებს რეგიონში. 1990-2007 წლებში მათ შორის მიმდინარეობდა იარაღით ვაჭრობა,

ამერიკა აწვდიდა იარაღებს, რათა მისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოეხდინა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკას ჰქონდა ურთიერთობა ჩინეთთან იგი განაგრძობდა ტაივანთან კავშირს, რაც ერთ-ერთი გაურკვეველი საკითხი იყო ჩინეთს და ამერიკას შორის. ტაივანის შემთხვევა შეიძლება ერთ-ერთ მიზეზად მოვიყვანოთ თუ რატომ უყურებს ჩინეთი ამერიკას უნდობლობით, თუმცა როგორც თემიდან ჩანს ეს მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია. (Rigger, Dennis v., & chow, 2017)

ტაივანის თავდაცვის პროგრამა გულისხმობს ამერიკის ჩართულობას საჭიროების შემთხვევაში, ვინაიდან არსებობს მუდმივად საფრთხე ჩინეთის მხრიდან ტავდასხმის ტაივანი მზად უნდა იყოს შემოტევისთვის, დაიკავოს მნიშვნელოვანი პოზიციები და მოიგოს დრო სანამ დამხმარე ძალა გამოჩნდება. გარდა ამისა ვინაიდან ტაივანისთვის მნიშვნელოვანია საზღვაო და საჰაერო კავშირი დანარჩენ სამყაროსთან, დაუშვებელი კუნძულის იზოლაცია, ამიტომაც მისი შეიარაღებული ძალები მუდმივად უნდა იყოს მოწოდების სიმაღლეზე, რათა არ დაუშვას კუნძულის იზოლაცია, რაშიც მას ამერიკის შეერთებული შტატები ეხმარება. (Rigger, Dennis v., & chow, 2017)

აშშ-ს რებალანსირების სტრატეგია სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში და ჩინეთის რეაქცია

მას შემდეგ რაც ბარაკ ობამა მოვიდა ამერიკის პრეზიდენტად 2009 წელს, მათ დაისახეს მიზნად აზიაში დაბრუნება. 2009 წლის შემდეგ ჩინეთში ამერიკის წარმომადგენლობის უამრავი ვიზიტი დაფიქსირდა, მათ შორის ჰილარი კლინტონის ვიზიტი აზიაში. ამერიკა აქტიურად იღებდა მონაწილეობას მოლაპარაკებებში, ასევე მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთ აზიის სამიტში, რომელიც ჩატარდა სახელმწიფოთა მეთაურების დონეზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ყოველთვის იყო დაინტერესებული აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, ბუშის ადმინისტრაციის პერიოდში იგი უფრო მეტად გადართული იყო აზიის ქვეყნებზე და ტერორიზმთან ბრძოლაზე, ობამას ადმინისტრაციამ ჩათვალა, რომ ამერიკა ზედმეტად იყო ამით დაკავებული და საჭირო

იყო ბალანსის აღდგენა, რაც წყნარი ოკეანის ქვეყნების სახელმწიფოებთან ურთიერთობის გაღრმავებაში ესახებოდა. (Donilon, 2013)

ამერიკის რებალანსირების სტრატეგია გამოცხადდა 2011 წლის ნოემბერში, რათა უფრო მეტად ჩართულიყო ამერიკა აზია წყნარი ოკეანის ქვეყნების პოლიტიკაში, მოეხდინა გავლენა რეგიონის პოლიტიკაზე, დაემყარებინა ახალი კავშირები რეგიონის ქვეყნებთან და ასევე გაემყარებინა ძველი ალიანსები, რათა დააბალანსოს ჩინეთი რეგიონში, რებალანსირების მიზანი იყო ასევე თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლა ჩინეთთან და ინდოეთთან, რომლებიც წამყვან ძალას წარმოადგენენ აზიაში, ასევე მათ სურთ მრავალმხრივი ურთიერთობისთვის სხვადასხვა გაერთიანებების ჩამოყალიბება. (Steinberg, 2009) ფრაზა რებალანსირება კი თავის თავში გულისხმობდა ამერიკის პრიორიტეტის აზიიდან, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში გადატანას, გარდა ამისა რესურსების განაწილებას ამ ქვეყნებში.

ერთ-ერთი მიზეზი, რაც ამერიკის უკმაყოფილებას იწვევდა და გადაწყვიტა რეგიონში ჩართვა იყო ის, რომ ჩინეთი ინარჩუნებდა ჩაკეტილ ეკონომიკას, არ აძლევდა საშუალებას უცხოურ კომპანიებს ემოქმედათ ჩინეთის ტერიტორიაზე, ეს იწვევდა გარკვეულ გაღიზიანებას, 2014 წელს მიცემულ ინტერვიუში ობამა აცხადებდა, რომ ჩინეთი იღებს სარგებელს გლობალური ვაჭრობისგან, ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე, ამას გარდა ჩინეთმა უვნებლად გაართვა თავი გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს. (Pomfret, 2019) გარდა ამისა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან და ერაყიდან, მათ ამით მნიშვნელოვანი სამხედრო ხარჯი შეამცირეს, გარდა ამის აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში მეტი ინვესტიციებით შესაძლებლობა ექნებოდათ უფრო მეტი მოგების ნახვა, ხოლო მხოლოდ აზიაში რესურების ხარჯვით უბრალოდ ხარჯი ექნებოდათ.

აზიის სწრაფმა ეკონომიკურმა განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა რეგიონის სტრატეგიული და ეკონომიკური წონა ასევე გაზარდა მისი მნიშვნელობა ამერიკისთვის. ეს გაძლიერება ოფიციალურად მხარდაჭერილი იყო ამერიკის მიერ და ოფიციალურ

განცხადებებში იგი მიესალმებოდა ჩინეთის გაძლიერებას. (House, Remarks by President Obama to the Australian Parliament, 2012)

ამერიკის სურვილს ასევე წარმოადგენდა ჩინეთის ჩართვა ჩრდილოეთ კორეის და ირანის ატომური შეიარაღების წინააღმდეგ პოლიტიკის საწარმოებლად, ამას გარდა გლობალური კლიმატის ცვლილებასა და ფინანსური კრიზისის დასაძლევად ჩინეთის ჩართვა. ამერიკის ადმინისტრაცი ცდილობდა ჩინეთის ჩართვას რეგიონულ და გლობალურ საკითხებში. ამერიკის მთავრობის მიზანი იყო პოზიტიური, თანამშრომლობისკენ მიდრეკილი, ამით ისინი ჩამოაყალიბებდნენ სრულწყოფილ ურთიერთობას, რომელიც კიდევ უფრო გააფართოებდა მათ საერთო ინტერესებს და გააღრმავებდა თანამშრომლობას. (HOUSE, 2019)

ჩინეთის ლიდერები მიუხედავად ამისა ამერიკის დაინტერესებას რეგიონით აღიქვამდნენ, როგორც ამერიკის მცდელობას შეექმნა მის მიერ დომინირებული მსოფლიო სისტემა. ჩინეთი კი დაეტოვებინა ისეთი პრობლემების წინაშე როგორიცაა ნახშიროჟანგის გამოყოფა და გაუფასურებულივალუტა, რასაც შეეძლო შეეჩერებინა ეკონომიკური ზრდა. მაშინ როცა ჩინეთი მსფლიოში არსებული ორგანიზაციების უმრავლესობაში იღებს მონაწილეობას, იგი ცდილობს ეს ორგანიზაციები გამოიყენოს, როგორც საკუთარი ინტერესების გატარების საშუალება. (Zhang, 2011)

ჩინელი მკვლევარები საუბრობდნენ ჩინეთის პასუხისმგებლობის თეორიაზე, მათი აზრით დასავლური იდეაა, რომ დაადანაშაულოს ჩინეთი გლობალურ ეკონომიკურ პრობლემებში და აიღოს იმაზე მეტი ვალდებულებები, ვიდრე მას შესაძლებლობა აქვს. (Zhang, 2011)

მეორე მხრივ ფინანსურმა კრიზისმა ავნო ამერიკას და გლობაურ პოლიტიკას, ობამას ადმინისტრაციის მცდელობა კი გაზარდოს ჩინეთის თანამშრომლობა პრობლემების მოსაგვარებლად, შეიძლბა ჩინეთმა აღიქვა, როგორც ამერიკის სისუსტე და საშუალება ზეწოლა მოახდინოს ამერიკაზე.

უამრავი ფაქტორის გათვალისწინებით აშშ-მ გადაწყვიტა მიეღო ახალი სტრატეგია, სადაც ჩინეთი ფაქტიურად მიიჩნია პოტენციურ საფრთხედ. საფრთხეს კი წარმოადგენს არა ის, რომ აშშ-ს შეიძლება თავს დაესხნენ, თუმცა იგი ამისთვისაც მზად უნდა იყოს, არამედ ის, რომ მის როლს და გავლენას მსოფლიოში საფრთხე ემუქრება. ჩემი აზრით ეს ქვეყანა თავის საგარეო ურთიერთობებს ნეორეალიზმის გადმოსახედიდან ხედავს უფრო მეტად კი თავდასხმითი რეალიზმის გადმოსახედიდან.

აშშ-მ მას შემდეგ რაც აამოქმედა რებალანსირების სტრატეგია, განათავსა თავისი საზღვაო ძალების 60% პროცენტი წყნარი ოკეანის აზიის რეგიონში, ამის შემდეგ შექმნა ტრანს-წყნარი ოკეანის სავაჭრო პარტნიორობა, რომელიც გამორიცხავდა ჩინეთს, ჰილარი კლინტონმა კი შეიმუშავა სამოქმედო ჩარჩო, რომელსაც უწოდა ჭკვიანი ძალა, ასევე კიდევ ერთი ნაბიჯი ამერიკის მხრიდან იყო ის, რომ შეენარჩუნებინათ ურთიერთობები ჩინეთთან. აღსანიშნავია, რომ ჩინეთში მსგავსი წარმატებები არ იყო იგივენაირად აღქმული, როგორც ეს ამერიკაში ხდებოდა, ამერიკამ ფაქტიურად ცალმხრივად დაიწყო მოქმედებები ჩინეთის დასასუსტებლად და მასთან ძალის ბალანსის დასამყარებლად. (Canrong, 2019)

ბარაკ-ობამა ჩინეთს ეწვია 2009 წლის ნოემბერში, პრეზიდენტად არჩევის პირველივე წელს, თუმცა მისი ჩინეთში ჩასვლა წესით მეორე ვადით არჩევის შემდეგ უნდა მომხდარიყო. მას ჰქონდა განსაკუთრებული მიდგომა ჩინეთთან დაკავშირებით, ამის მიზეზი იყო ის, რომ ამერიკას არ შეეძლო შეგუებოდა ჩინეთის გაძლიერებას. (Pomfret, 2019)

ობამას ძალიან მცირე ცოდნა და შეხება ჰქონდა ჩინეთთან დაკავშირებით, მაშინ როცა პირველად ჩავიდა იქ მოსალაპარაკებლად. მან, როგორც ამერიკელები ამბობენ უამრავი შეცდომა დაუშვა მოლაპარაკებისას, იგი არ იყო მზად უამრავ განსხვავებულ ადამიანთან ურთიერთობისათვის, ამას გარდა მას გაუჭირდა ეხელმძღვანელა მოლაპარაკებისათვის, არამედ პირიქით მოექცა ჩინეთის გავლენის ქვეშ, ვერ შეძლო ამერიკული ღირებულებების სათანადოდ წარმოჩენა. მისი პირველი ვიზიტის დროს ჩინეთში, ამერიკას სურდა დაეფიქსირებინა აზრი, რომ

მიესლამება ჩინეთის გაძლიერებას, მაგრამ მან საფრთხე არ უნდა შეუქმნას სხვის უსაფრთხოებას. ჩინეთმა ეს აღიქვა ამერიკის სისუსტედ და მოითხოვა ტაივანთან იარაღის ვაჭრობის აკრძალვა, ასევე ჩინეთის სანაპიროზე სამხედრო მოქმედებების აკრძალვა. ბარაკ ობამას ჩასვლისას ჩნეთში, G20ის სამიტზე მოჰყვა პატარა გაუგებრობა, რადგან არ დახვდა აეროპორტში ტრაპზე წითელი ხალიჩა, რომელიც ჩვეულებრივად ხვდება სხვა ლიდერებს, მაგალითად სამხრეთ კორეის პრეზიდენტს, რუსეთის პრეზიდენტს. ისმოდა ასევე ჩინეთის ოფიციალური პირების ყვირილი, რომ ეს მათი ქვეყანა და მათი აეროპორტია. ობამამ სიტუაციის განსამუხტად განცხადება გააკეთა, სადაც ამბობს, რომ მსგავსი შემთხვევა არამარტო ჩინეთში, არამედ სხვაგანაც ხდება, სხვა ქვეყნებში მოგზაურობისას.

(Pomfret, 2019)

ობამა 2009 წელს დიდი მოლოდინებით ჩავიდა ჩინეთში, შეიძლება ითქვას, რომ გადაჭარბებული მოლოდინებიც კი ჰქონდა, ამის გამო ის გააკრიტიკეს კიდეც. შეხვედრა მთლიანად კონტროლირდებოდა ჩინეთის მიერ, ობამა კი თავის მხრივ კეთილგანწყობილი იყო ყველას მიმართ, ცდილობდა, რომ ზრდილობიანი ყოფილიყო, მაგალითად მან გადაწყვიტა არ შეხვედროდა დალაი ლამას, ბეიჯინგის აგრესიის თავიდან აცილების მიზნით, მისმა ადმინისტრაციამ კი უკანა პლანზე გადაიწია იმის გამო, რომ ყველაფრის ორგანიზებას ჩინეთი ახორციელებდა. ამას გარდა ობამას არ ჰქონდა საშუალება შეხვედროდა ზოგიერთ მნიშვნელოვან პირს, ან ესარგებლა პირდაპირი ჩართვებით კითხვა-პასუხის რეჟიმში. (Pomfret, 2019)

ჩინეთის ეკონომიკა დიდწილად იყო დამოკიდებული საგარეო ვაჭრობაზე და შიდა ელიტებისთვის საკმაოდ დიდ საფრთხეს წარმოადგენდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის სტაბილურობისთვის საფრთხის შექმნა. იმისთვის რომ შეენარჩუნებინათ ეკონომიკური მდგრადობა, ისინი დიდწილად გახდნენ დამოკიდებული ნაციონალიზმზე. დასავლეთიდან მომავალმა კრიზისმა, ასევე ჩინეთის პასუხმა გამოიწვია ის, რომ იგი გახდა უფრო მეტად საკუთარ თავზე დამოკიდებული.

ობამა თავის წინამორბედთან შედარებით უფრო ხშირად გზავნიდა მაღალი თანამდებობის პირებს წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში აზიაში, შედეგად იგი უფრო დაუახლოვდა ამ ქვეყნებს. მოაწერა თანამშრომლობის შეთანხმებას ხელი სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის, შეუერთდა აღმოსავლეთ აზიის სამიტს. (Pomfret, 2019) ამერიკის მიზანიც სწორედ ეს იყო დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავება. ამერიკამ ფაქტიურად ჩინეთის გარშემო წრე შეკრა მოკავშირე სახელმწიფოების და ცდილობდა ძალთა ბალანსი თავის სასარგებლოდ ყოფილიყო.

ამერიკას ასევე პრობლემები შეუქმნა ტერმინმა განთავსებამ (pivot), ჩინეთის მაღალი თანამდებობის პირები სკეპტიკურად განეწყვნენ ამ სიტყვის მიმართ და თვლიდნენ, რომ ამერიკას მასზე გავლენის მოპოვება სურდა, ამას გარდა ეს ტერმინი არ მოეწონათ რეგიონის სხვა ქვეყნებსაც, რომლებიც აშშ-ს უჭერდნენ მხარს, ვინაიდან ამერიკის განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ მათ დატოვეს ახლო აღმოსავლეთი და გადავიდნენ უფრო შორეულ აზიაში, ბადებდა იმის ეჭვს, რომ თუ სხვა რეგიონში შეიქმნებოდა პრობლემები აშშ აქედანაც წავიდოდა და სხვაგან გადავიდოდა თვითონ კი მარტო დარჩებოდნენ ჩინეთის პირისპირ. ამ ქვეყნებს ამერიკის ადმინისტრაციის მხრიდან დასჭირდათ ხელახალი დარწმუნება, ამიტომაც მათ საერთოდ ამოიღეს ეს ტერმინი ხმარებიდან, ჩაანაცვლეს ის რებალანსირებით. (Held, 2013)

რებალანსირების სტრატეგიამ ჩინეთის მხრიდან უკურეაქცია გამოიწვია. ამერიკის საზღვაო ძალების 60%-ის ჩინეთთან ახლოს გამოჩენამ გამოიწვია ის, რომ ჩინეთმა დააჩქარა სამხედრო შეიარაღების გაძლიერება, ასევე ჩინეთის გამორიცხვა ტრანს წყნარი ოკეანის გაერთიანებიდან, იგი აიძულა ამერიკაში ეჭვი შეეტანა, ამიტომაც ჩამოაყალიბა სხვა გაერთიანებები, აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი, თავისუფალი ვაჭრობის ზონა აზია წყანრი ოკეანის, სრულყოფილი რეგიონული ეკონომიკური პარტნიორობა. (Held, 2013)

ჩინეთს გარკვეულწილად მაინც ჰქონდა მოლოდინი, რომ ამერიკის ახალი მთავრობა უფრო მეტად მოერგებოდა მათ ინტერესებს, თუმცა 2010ში ობამას ადმინისტრაციამ დაიწყო ტაივანისთვის იარაღის მიყიდვა, ასევე გააკრიტიკა ჩინეთი ინტერნეტის თავისუფლების შეზღუდვისთვის. ჩინეთში ამან დიდი იმედგაცრუება გამოიწვია ამერიკის მიმართ. (Christensen, 2019)

2010 წელს მაგალითად ჩინეთის ქმედებებმა გამოიწვია ამერიკის მიერ გარკვეული ალიანსის შექმნა რეგიონში.მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ კორეა თავს დაესხა სამხრეთ კორეას, დახოცა მისი მოსახლეობა და ჯარისკაცები, ჩინეთი შეეცადა ბრალი დაედო ვაშინგტონის და სეულისთვის, იმ მიზნით, რომ დაეცვა ჩრდილოეთ კორეა. თავდაპირველად ამერიკამ შესთავაზა ჩინეთს თანამშრომლობა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ, მაგრამ უარი განაცხადა, რის შემდეგაც ამერიკამ სადაზვერვო ალიანსი შექმნა იაპონიასთან და სამხრეთ კორეასთან ერთად ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ, შემდეგ ყვითელ ზღვაზე სამხრეთ კორეასთან ერთად წვრთნები დაიწყო. ჩინეთმა ვერ აიტანა მსგავსი გაერთიანებები მის გარშემო და უკან დაიხია, აღარ დაუჭირა მხარი ჩრდილოეთ კორეას. რაც შეეხება 2010 წლის ივლისში ASEAN-ის რეგიონალურ ფორუმზე, ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ მომხრეა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ტერიტორიული დავის მშვიდობიანად და საერთაშორისო ნორმების დაცვით მოგვარებაში, ამერიკა კი მასში არ ჩაერევა. სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში ამ პოზიციამ დიდი მხარდაჭერა გამოიწვია, მაგრამ მიიღო კრიტიკული დიპლომატიური პასუხი ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მხრიდან. (Held, 2013)

მოგვიანებით ჩინეთმა სადავო ტერიტორიებზე განათავსა საჰაერო თავდაცვის სისტემები, ეს მოხდა მას შემდეგ რაც იაპონიამ დააკავა მისი სათევზაო გემის კაპიტანი სადავო ტერიტორიებთან, ამერიკამ განაცხადა, რასაც მანამდე ამბობდა, რომ არ ერევა მათ საქმეში მაგრამ პატივს სცემს იაპონიის ადმინისტრაციულ კონტროლს, რასაც საფუძვლად უდევს იაპონია ამერიკის შეთანხმება. კიდევ ერთი ქეისი იყო ის, რომ ჩინეთის სადავო კუნძულები, რომელიც იაპონიის ერთ-ერთი ოჯახის საკუთრებაში იყო შეიძინა იაპონიის მთავრობამ, ჩინეთი კი პროტესტმა მოიცვა იაპონიის წინააღმდეგ, ამის შემდეგ მათ გადაწყვიტეს კუნძულის

ნაციონალიზაცია და გაამკაცრეს საჰაერო კონტროლი. ასეთმა მოულოდნელმა საქციელმა ჩინეთის მხრიდან მის რეპუტაციაზე ცუდი გავლენა მოახდინა, აშშ-მ კი გარკვეულწილად სათავისოდ გამოიყენა ეს მდგომარეობა, ამით იგი უფრო მეტად დაუახლოვდა იაპონიას, დაანახა მას, რომ სჭირდება ჰქონდეს ალიანსი ამერიკასთან. აშშ-ს პოზიციას სიტუაცია სრულად არ განუმუხტავს, მაგრამ კონტროლქვეშ მოაქცია, შემდგომი ესკალაცია შეაჩერა. ჩინეთი არ წყვეტდა პროვოკაციებს, იგი ფილიპინებთანაც ცდილობდა სადავო ტერიტორიების პრობლემის გადაჭრას პროვოკაციებით, რათა ადმინისტრაციული კონტროლი მოეპოვბინა იმ ტერიტორიებზე, რომელსაც მანამდე იჩემებდა. (Christensen, 2019)

ჩინეთისთვის განსაკუტრებით საინტერესოა ის ფაქტი თუ რატომ მიიღო ამერიკამ რებალანსირების გადაწყვეტილება სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში, მათი აზრით ამერიკის რეგიონში ჩართულობის გააქტიურება საეჭვოა და მიმართულია ჩინეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ. მათი აზრით ამერიკა დასუსტდა ავღანეთსა და ერაყში ომების ხარჯის შედეგად და სურს მდიდარ და მზარდ რეგიონში ჩართვა, ვინაიდან ხედავდა ჩინეთის გაძლიერებას თვითონ კი სუსტდებოდა. 2002 წელს ჩინეთმა და ასეანის ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე სადავო ტერიტორიებთან დაკავშირებით არ მიიღებდნენ ცალმხრივად გადაწყვეტილებებს და საფრთხეს არ შეუქმნიდნენ სტატუს კვოს, მართლაც ამ პერიოდის განმავლობაში სერიოზულ სამხედრო დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც მიმდინარეობდა სხვის ტერიტორიაზე არალეგალური ტევზჭერა, თუმცა მსგავსი დარღვევები ყველა მხრიდან ხდებოდა, ჩინეთისთვის კი გაუგებარია თუ რატომ დაინტერესდა ამერიკა რეგიონით და შემოიყვანა სამხედრო ძალები ახლა. ჩიენთის აზრით მიზეზი თუ რატომ ჩაერია ამერიკა რეგიონის საქმეებში იყო ის, რომ ჩინეთი ძლიერდებოდა, ხოლო ერთადერთი რითაც შეეძლო მისი დაბალანსება იყო სამხედრო ძალა, ვინაიდან მის ეკონომიკურ წინსვლას სხვანაირად ვერაფერს მოუხერხებდა, რადგან ჩინეთი რეგიონის ქვეყნებისთვის უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად ჩამოყალიბდა. (Zhang F. , 2017)

ჩინეთის გადმოსახედიდან სხვა ქვეყნებს, იაპონიას, ფილიპინებს და ვიეტნამს აწყობთ ამერიკის რეგიონში გამოჩენა, რათა დაიცვან საკუთარი ინტერესები სამხრეთ ჩინეთის ზღვაში. მაგალითად იაპონიამ მოახდინა დიაუს diaoyu კუნძულების ნაციონალიზაცია, ფილიპინებმა თავიანთი ყველაზე დიდი გემი გაგზავნეს huangyan scarborough shoal რომ აეღოთ 2012 წელს. ჰუნგიანის კუნძულებზე დავა მოჰყვა ისედაც დაძაბულ; ურთიერთობას ჩინეთს და ფილიპინებს შორის რაც მოჰყვა რენეს რიფზე დავას, როდესაც ფილიპინების გემი გაჩერდა ამ ტერიტორიაზე, ჩინეთმა მას მისი გაყვანა მოსთხოვა, რადგან ეს იყ სადავო ტერიტორია, ფილიპინებმა განაცხადა, რომ გემს პრობლემები ჰქონდა და შეაკეთებდნენ რის შემდეგაც გაიყვანდნენ, თუმცა ეს არ გააკეთეს. (Zhang F. , 2017)

ამერიკის ოფიციალური განცხადებები რეგიონში არსებულ დაძაბულობასთან დაკავშირებით არის ნეიტრალური როგორც წინა თავებში აღინიშნა და ისინი არ უჭერენ მხარს კონფლიქტის რომელიმე მხარეს, თუმცა სინამდვილეში ძნელი წარმოსადგენია ეს ასე იყოს ვინაიდან კონფლიქტის მხარეებიდან რამდენიმე ქვეყანასთან მას ხელშეკრულებითი ალიანსი აქვს გაფორმებული. ჩინეთის მოქმედებების მიმართ ამერიკა ყოველთვის კრიტიკუყლი იყო განსხვავებით იაპონიის, ფილიპონების და ვიეტნამისა, რომლებიც თუ რაიმე პროვოკაციულ განცხადებას გააკეთებდნენ ან მოიმოქმედებდნენ ისინი ამ შემთხვევაში კრიტიკული განცხადებებით ნაკლებად გამოირჩეოდნენ.

2014 წელს ამერიკამ ჩინეთის სუვერენიტეტის და ინტერესების წინააღმდეგ გადადგა ნაბიჯი და განაცხადა, რომ ვერ იპოვა საერტაშორისო სამარტალში 9 ტირესტან დაკავშირებით რაიმე საფუძველი. (Korkut & Woo Hyun, 2017) 9 ტირე ნიშნავს ჩინეთის რუკაზე მონიშნულ ტერიტორიას 9 ტირეთი, ზოგიერთ წყაროში 10 ან 11, თუმცა ყველაზე პოპულარულია 9 ტირე, რომელიც ფაქტიურად სრულად მოიცავს სამხრეტ ჩინეთის ზღვის მნიშვნელოვან რეგიონებს.

ჩინეთის მოსაზრებით უცნაური იყო ასევე ის ფაქტი, რომ ამერიკა თავიდან არ იყო განწყობილი აშკარად ნეგატიურად თავდაპირველ პერიოდში, თუმცა მოგვიანებით 2014 წლიდან მაღალი პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები, პრეზიდენტი,

გენერალური მდივანი და ა.შ. იწყებენ ჩინეთის კრიტიკას მისი ქმედებებისთვის. მაგალითად სადავო ტერიტორიებიდან 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ჩინეთი და ვიეტნამი ნავთობს მოიპოვებდნენ სადავო ტერიტორიებიდან, თუმცა ამერიკას არ უთქვამს არაფერი ვიეტნამის შესახებ, რომ ის კანონს არღვევდა ამით. როდესაც საკუთარი კონტროლირებადი ტერიტორიიდან 17 მილში Zhongjian triton, ჩინეთმოიპოვებდა ნავთობს ამერიკამ მათი კრიტიკა დაიწყო,. (Zhang F. , 2017)

ჩინეთის საზღვაო ძალების გაძლიერებას საერთაშორისო საზოგადოება დიდი სიფრთხილით აკვირდებოდა. 2000 წლიდან მოყოლებული იაპონიას და ჩინეთს შორის იყო სხვადასხვა დავები სადავო ტერიტორიებთან დაკავშირებით, თუმცა საბოლოო პიკს მან 2011 წელს მიაღწია, (Zhang F. , 2017)რაც საერთოდ არ არის გასაკვირი, ვინაიდან ამ პერიოდში უკვე ამერიკას გამოცხადებული ჰქონდა თავისი დაინტერესება აზიით, იაპონია კი მის მოკავშირედ ითვლებოდა, ამიტომაც იგი ზურგს უმაგრებდა მას. საქმე ეხებოდა იაპონიის მხრიდან, კერძო კუნძულების შეძენას, რასაც მოჰყვა მასობრივი ანტიიაპონური გამოსვლები ჩინეთში და ნაციონალური მოწოდებები. სენკაკუს კუნძულების გამო სერიოზულად დაეძაბა ურთიერძთობები იაპონიას და ჩინეთს. ამას მოჰყვა სხვადასხვა პროვოკაციები ჩინეთის მხრიდან იაპონიის გემების მისამართით, რომელიც კუნძულებს იცავდა, თუმცა არ მოჰყოლია შეტაკებები. ჩინეთი ასევე სხვადასხვა წვრთნებს ატარებს ამ ტერიტორიებზე, რაც აღიქმება როგორც იაპონიის წინააღმდეგ მიმართული. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ მსგავს წვრთნებს სხვა ქვეყნებიც ატარებენ სამხრეთ ჩინეთის ზღვაში.

ჩინეთის განცხადებით კუნძულები, რიფები, კლდეები, სხვადასხვა ადგილები რომლებიც რესურსებიტაა მდიდარი სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, რომელიც 9 ტირეს მოიცავს რუკაზე, ჩინეთის საკუთრებაა. ძველ რუკებზე გავრცელებულია ასევე 11 ან 10 ტირე, თუმცა ყველაზე პოპულარულია 9 ტირე. ჩინეთის განცხადებით მათ ეკუთვნით ეს ტერიტორიები ისტორიულად, ვინაიდან ჩინეთი პირველი და უძველესი სახელმწიფოა რეგიონში და სწორედ მას ჰქონდა კონტროლი ამ ტერიტორიებზე, ისინი მოიხმარდნენ მის რესურსებს. მათ მოჰყავთ ასევე მაგალითი მე-13 საუკუნის

რუკებიდან, როდესაც ადმირალი ზენგ ჰი მოგზაურობდა ამ ტერიტორიებზე და აღწერდა. მათი განცხადებით გარდა ამ წყაროებისა შედარებით თანამედროვე წყაროები, რუკები, რომლებიც გამოქვეყნებული 1950-60-იან წლებში, გერმანიის, საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის მიერ, ასახავს ამ ტერიტორიებს ჩინეთის შემადგენლობაში. ჩინეთის მთავრობის განცხადებით სხვა მოდავე სახელმწიფოებს არ ჰქონიათ რაიმე პრეტენზია და არც მათი ტერიტორია იყო მოხსენიებული წყაროებში ამ 9 ტირეს შემადგენლობაში 1970-იან წლებამდე, განსაკუთრებით ფილიპინების შემთხვევაში. მათი აზრით ეს პრეტენზიები რაც ამ ქვეყნებს აქვთ შედარებიტ ახალია, პოლიტიკურად მოტივირებული. (Zhang F. , 2017)

1939 წელს იაპონიამ მოახდინა სპარტლის კუნძულების ოკუპაცია, რომელიც მანამდე იყო ჩინეთის საკუთრებაში, მას სჭირდებოდა ეს ტერიტორია და კიდევ რამდენიმე კუნძული, რათა შეჭრილიყო ავსტრალიაში. მას შემდეგ, რაც 1945 წელს იაპონია დამარცხდა მეორე მსოფლიო ომში, მას ჩამოართვეს ეს ტერიტორიები. ტაივანმა განაცხადა პრეტენზიები ამ ტერიტორიებტან დაკავშირებით, თუმცა მასზე კონტროლი ჩინეთმა აღადგინა. (Chang, 1991)

იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ტერიტორიები ნამდვილად ჩინეთის საკუტრებაა მათ მოჰყავთ 1943 წელს მიღებული კაიროს დეკლარაცია და 1945 წელს მიღებული პოტსდამის დეკლარაია. ამ დეკლარაციებში აღნიშნულია, რომ ტერიტორიები, რომლებიც იაპონიას ეკუთვნოდა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, აღარ შეიძლება იყოს ამ ქვეყნის სუვერენული ტერიტორიები და ეს ტერიტორიები იაპონიამ მიიტაცა ჩინეთისგან. (Chang, 1991)

ვუ შიკუნი და ფუ იანგი, თავიანთ სტატიაში „ეროვნული ინტერესი“ აღწერენ 1990იანი წლების პერიოდს, როდესაც ვიეტნამმა და მალაიზიამ მოახდინეს ნაწშას კუნძულების ოკუპაცია (ISDP, 2019) დაიწყეს იქ ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვება, ასევე (Scarborough Shoal) ფილიპინების მიერ მოეწყო პროვოლაცია, როდესაც ისინი ამ კუნძულზე შეიჭრნენ თითქოს მათი გემები ჩინური იყო, დაანგრიეს მონუმენტი, რომელიც ჩინეთის ტერიტორიას აღნიშნავდა და აღმართეს ფილიპინების დროშა.

ამას მოჰყვა მეორე ფაზე 2002 წლიდან, როდესაც ჩინეთმა და ასეანის 10 ქვეყანამ მოაწერეს ხელი ქცევუის ხელშეკრულებას, რომელსაც უნდა გაეკონტროლებინა მოდავე მხარეების ქცევები სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, თუმცა ვუს აზრით განსაკუთრებით ვიეტნამი არ ემორჩილებოდა ამ ქცევის წესებს და მუდმივად პროვოკაციებს აწყობდა, ასევე იჩემებდა სადავო ტერიტორიებს, ჩინეთი ამ დროს პირიქით ცდილობდა მშვიდობიანად მკოეგვარებინა კონლიქტი, აღნიშნული მკვლევარების აზრით ჩინეთი ამ დავაში მსხვერპლია. (ISDP, 2019)

ახალი ეტაპი და საბოლოო, რომელმაც გარდატეხა შეიტანა სადავო ტერიტორიების გარკვევაში და ამასთანავე მოდავე მხარეებს შორის ურთიერთობის გარკვევაში იყო ამერიკის მხრიდან რებალანსირების პოლიტიკის შემოღება. 2012 წელს Huangyan Dao incident პარაკელის კუნძულებთან ახლოს, ვიეტნამთან კონფლიქტი, ასევე ფილიპინების ინიციატივა 2013 წლის იანვარში საკითხის სასამართლოზე გატანა ამ ახალი ფაზის მანიშნებელია.

ამერიკის განცხადებების მიუხედავად, რომ ისინი არავის მხარეს იჭერენ, ჩინეთი საკუთარი ინტერესების საპირისპირო ქმედებად თვლის იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო სამართლის საფუძველზე და მიზეზით ამერიკას ჰყავს სამხედრო გემები სამხრეტ ჩინეთის ზღვაში და პატრულირებს. ჩინეთის მოსაზრებით ამერიკა გეოსტრატეგიულ კონკურენბნციაშია მასთან. ამას გარდა ცდილობს ჩინეთის მოდავე ქვეყნებტან სამხედრო თანამშრომლობის გაძლიერებას, მაგალითად სამხედრო წვრთნები ფილიპინებტან ერთად, ასევე ვიეტნამის იარაღის ემბარგოს მოხსნა, რომელიც დაანონსებული იყო 2016 წლისთვის. (ISDP, 2019)

წამყვანი ჩინელი ანალიტიკოსების განცხადებით ამერიკის რებალანსირების სტრატეგიის შედწეგად ჩინეთი დადგა უსაფრთხოების პრობლემის წინაშე. ამის გარდა მას შეექმნა დიპლომატიური, ეკონომიკური და სტრატეგიული პრობლემები. იან პენგის განცხადებიტ ამერიკის მიერ თავისი საზღვაო ძალის 60%ის აზია წყნარი ოკეანის რეგიონში გადასროლა ჩინეთის თავდაცვის სისტემას გამოწვევის წინაშე აყენებს. ამერიკამ ასევე აიღო სხვადასხვა სამხედრო ვალდებულებები ავსტრალიის, გუამის, იაპონიის, ფილიპინების, სინგაპურის და სამხრეთ კორეის წინაშე. ასევე რეგიონის ქვეყნებტან დიპლომატიური თანამშრომლობის გაძლიერებით ზეწოლა გააძლიერა ჩინეთზე. TPPინიციატივამ კი არამარტო ხელი შეუშალა და დააბრკოლა აღმოსავლეთ

აზიის ეკონომიკური იბნტეგრაცია, არამედ ჩინეთი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. (Peng, 2013)

ეკონომიკური კონკურენცია ამერიკას და ჩინეთს შორის

ამერიკის მიერ ტრანს წყნარი ოკეანის ეკონომიკური გაერთიანების(TPP)შექმნის ინიციატივა, ერთ-ერთ საშუალებად ითვლება მის მიერ ჩინეთზე გავლენის მოსაპოვებლად. ამ ორგანიზაციის საშუალებით ამერიკას სურდა რეგიონში ვაჭრობის ახალი წესების დანერგვა. მის მიზანს ამ შემთხვევაში წარმოადგენდა რეგიონის ქვეყნების გაერთიანება ერთ ეკონომიკურ სხეულში, რასაც გულისხმობს ეკონომიკური ინტეგრაცია და მსგავსი ორგანიზაციის დანიშნულებაც სწორედ ეგ არის. ასეთ შემთხვევაშიი გაერთიანების დროს იხსნება ბარიერები პროდუქტის გადინებისთვის, იხსნება გადასახადები და ა.შ. შესაბამისად იქმნება თავისუფალი ვაჭრობის ზონები წევრ ქვეყნებში. ასეთ ორგანიზაციას აქვს ორგვარი ეფექტი, ვაჭრობის შექმნის და ვაჭრობის დივერსიფიცირების ეფექტი. ვაჭრობის ეფექტის შექმნა ნიშნავს, ვაჭრობის ახალი ნაკადების გაჩენას და იმ სიცარიელის შევსებას რაც ქვეყანას აქვს, ეროვნული პროდუქცია, რომელიც იმ შემთხვევაში თუ ნაკლებად ეფექტურია, ხდება მისი ჩანაცვლება სხვა შემოსული პროდუქციით, ასევე პროდუქციის ფასი განისაზღვრება იმის მიხედვით, რასაც ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები დააწესებენ და იგივეა ყველა წევრ ქვეყანაში. ვაჭრობის დივერსიფიცირების ეფექტი კი გულისხმობს არაწევრი სახელმწიფოდან იაფიანი პროდუქტის ჩანაცვლებას, უფრო ძვირადღირებულით წევრი სახელმწიფოდან. ამ შემთხვევაში გლობალური ბაზრის ჩანაცვლება ხდება ადგილობრივი ბაზრით, რაც ნაკლებად ეფექტურია. სხვა სახელმწიფოები აწყდებიან სავაჭრო ბარიერებს, იზრდება მათთვის იმპორტირების ფასი, დივერსიფიცირების ეფექტი ნეგატიურ ეფექტად ითვლება. რეგიონში მსგავსი ორგანიზაციის ჩამოყალიბება კი რათქმაუნდა უარყოფითად აისახებოდა ჩინეთზე. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს, რომლებსაც ექნებოდათ უპირატესობა ამერიკასთან ვაჭრობაში, შეიძლება ჩაენაცვლებინათ ჩინეთის პროდუქცია ვაჭრობის დივერსიფიკაციის ეფექტის საფუძველზე, რაც უარყოფიტად აისახებოდა ჩინეთზე, რადგან ამერიკა მისთვის უმთავრესნ სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს. (Hamanaka, 2014)

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანიზაცია, რომელიც იმ პერიოდში ჯერ კიდევ მოლაპარაკებების ქვეშ იყო, სწორედ ტრანს წყნარი ოკეანის ორგანიზაცია და როგორც სხვა ორგანიზაციებს ზემოთაღნიშნული ეფექტი შეიძლება ამ გაერთიანებასაც ჰქონოდა. ამ ორგანიზაციასთან მოლაპარაკებები დაიწყო ამერიკის ინიციატივით 2010 წელს და რებალანსირების სტრატეგიის ერთ-ერთ საკვანძო ელემენტად ითვლება. ორგანიზაციის სავარაუდო წევრი 12 ქვეყანა უნდა ყოფილიყო: აშშ, კანადა, მექსიკა, ჩილე, პერუ, იაპონია. თუმცა მათ შორის ჩინეთი არ მოიაზრებოდა. ორგანიზაციას სავაჭრო ბალანსი მნიშვნელოვნად უნდა შეეცვალა მსოფლიოში.

ტრანს-წყნარი ოკეანის ორგანიზაციას შეეძლო მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა უფრო პატარა ეკონომიკებისთვის, მაგალითად როგორიცაა ვიეტნამი, დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის კი მას უფრო სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებოდა, თუმცა ისინიც ნახავდნენ გარკვეულ მოგებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ამერიკის და იაპონიის მთავარ მიზანს რეგიონში წამყვანი პოზიციის დაკავება წარმოადგენდა და ჩინეთთან წარმატებული კონკურენცია.

ტრანს-წყნარი ოკეანის ორგანიზაციის საპირწონედ ჩაეყარა საფუძველი ახალ ორგანიზაციას, რომლის სახელწოდებაც იყო ყოვლისმომცველი რეგიონული ეკონომიკური პარტნიორობაRCEP, მისი წევრები უნდა ყოფილიყვნენ ავსტრალია, ჩინეთი ინდოეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა და ახალი ზელანდია ასევე ASEAN-ის რამდენიმე ქვეყანა. (Hamanaka, 2014) მოლაპარაკებები დაიწყო 2011 წელს, მას შემდეგ რაც ტრანს წყნარი ოკეანის ორგანიზაციის შექმნის ინიციატივა გამოითქვა. 2012 წლისთვის უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, მოხდა სათანადო შემცირება ტარიფების და სერვისებით ვაჭრობის ფასის. 20 მოლაპარაკებები მიმდინარეობდა 16 ქვეყანას შორის და მსოფლიოს მოსახლეობის 45% მოიცავდა, მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 1/3 რაცმცირედით ნაკლები ტრანს წყნარი ოკეანის ორგანიზაციის მთლიან შიდა პროდუქტზე. ეს ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეტანხმება. ASEAN-ის გენერალური მდივნის სარინ პიცუვანის განცხადებით, რეგიონტან ერთად, რომელსაც მსოფლიოს ბაზრის თითქმის ნახევარი უკავია და წარმოების დაახლოებით მესამედი, აღნიშნული ორგანიზაცია ასეთ რეგიონში კარგად იმუშავებს და დაეხმარება მსოფლიოს ეკონომიკას წინსვლაში. 21 არსებობს მოლოდინი,

რომ RCEP გააღრმავებს ეკონომიკურ თანამშრომლობას წევრ სახელმწიფოებს შორის და მუხედავად სახელმწიფოს განვითარებს დონისა, მიიღებს სიკეთეებს ამ ორგანიზაციისგან. მოსალოდნელია ასევე, რომ ორგანიზაცია მოუტანს სარგებელს, როგორც ბაზარს ასევე მომხმარებლებს, რადგან ექნებათ წვდომა უამრავი სახის ნაწარმზე, ასევე ესე ქვეყნები შეძლებენ უფრო მეტად განვიტარებას, როგორც ტექნოლოგიურად ასევე სავაჭრო პოლირტიკის კუთხით. RCEP მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მომსახურებით ვაჭრობა, ინვესტიციები, ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობა, ინტელექტუალური საკუთრება, კონკურენცია და სხვა.

სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ტერიტორიული დავები, მისი მნიშვნელობა ჩინეთისთვის და რებალანსირების გავლენა

სამხრეთ ჩინეთის ზზღვას აქვს უდიდესი მნიშვნელობა რეგიონისთვის, ვინაიდან იქ გადის საკვანძო მნიშვნელობის საზღვაო გზები, მოიცავს ბუნებრივ რესურსებს და ტერიტორიებს, რომლებზეც მიდის დავა რამდენიმე სახელმწიფოს შორის. ამერიკა ტავის მოკავშირეებთან ერთად გამუდმებით აკრიტიკებდა ჩინეთის მოქმედებებს სამხრეთ ჩინეთის ზღვაში.

სამხრეთ ჩინეთის ზღვის რესურსები საკვების პირველი წყაროა რეგიონის ზოგიერთი ქვეყნისთვის. (Khoury E, 2017) აქ მსოფლიოს თევზჭერის 10%მოდის. რეგიონი ასევე მდიდარია ბუნებრივი აირის და ნავთობის რესუსრსით.

სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მოძრაობს ასევე მსოფლიოს სავაჭრო გემების 50% ტონობის მიხედვით. ასევე ნავთობმზიდი გემების ნახევარი სამხრეთ ჩინეთის ზღვაზში გადაადგილდება. (Rosenberg, 2011) ენერგოიმპორტიორი ქვეყნები როგორიცაა სამხრეთ კორეა, იაპონია სარგებლობენ ამ გზით, რადგან ყველაზე იაფ და მოკლე გზას წარმოადგენს. ჩინეთისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ეს ტერიტორია, ვინადიან ნედლი ნავთობის 80% ჩინეთში სამხრეთ ჩინეთის ზღვის გავლით შემოდის. (Criekemans, 2017) აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩინეთისთვის ეს ტერიტორია უაღესად მნიშვნელოვანია და იცავს მას ყველა შესაძლო საფრთხისგან.

რეგიონში ამ გზებისთვის რაიმე პრობლემის შექმნის შემთხვევაში რეგიონის ქვეყნებზე მნიშვნელოვნად იმოქმედებს. რესურსების გარეშე ჩინეთის ეკონომიკა სათანადოდ ვერ იმუშავებს ასევე თუ სავაჭრო გზები ჩაიკეტება საჭირო გახდება ახალი გზების მოძიება, რაც კიდევ დამატებით ხარჯებთან იქნება დაკავშირებული და შესაძლოა მსოფლიოში ფასების გაზრდა გამოიწვიოს სხვადასხვა პროდუქტებზე და ა.შ. თვითონ რეგიონშიც სხვადასხვა ნედლეულზე ფასები მნიშვნელოვნად აიწევს, რაც პროდუქციის ფასსაც გაზრდის ამიტომ სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონში მშვიდობა რეგიონის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ფილიპინებს ამერიკასთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულებითი ალიანსი, მასთან ერთად კიდევ რეგიონის რამდენიმე ქვეყანას. ისინი ცდილობენ ამერიკის გვერდში დგომა გამოიყენონ თავიანთი ტერიტორიული დავების მოსაგვარებლად რეგიონში. 2013 წელს ფილიპინებმა ჰააგის უმაღლეს სასამართლოში წარადგინა მტკიცებულებები (Korkut & Woo Hyun, 2017)რომ ჩინეთს არ აქვს ისტორიულად უფელებები სამხრეთ ჩინეთის ზღვაში. ჰააგის სასაამართლომ გაამართლა ფილიპინები, თუმცა როგორც ჩინეთმა აღნიშნა ამ სასამართლოს არ აქვს უფლება განსაზღვროს ტერიტორიული დავები ამ ტერიტორიაზე, ჯერჯერობით ნამდვილად ამ სასამართლოს არ აქვს უფლება გადაწყვიტოს დავა, თუმცა საერთაშორისო საზოგადოებისთვის ამ სასამართლოს გადაწყვეტილება მაინც მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება. საარბიტრო ტრიბუნალის დამსახურებაა ასევე გაეროს საზღვაო კანონის შემოღების და დამკვიდრების მცდელობა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში პრობლემების გადასაწყვეტად. UNCLOS

სამხრეთ ჩინეთის ზღვის კონფლიქტში ჩართულია 6 ქვეყანა ბრუნეი, ჩინეთი, მალაიზია, ფილიპინები, ტაივანი და ვიეტნამი, 100მდე სხვადასხვა მიწის ფართობზეა დავა ამ ქვეყნებს შორის. ყველაზე ამბიციური და თამამი პოზიციები ამ ქვეყნებს შორის ჩინეთს აქვს. (Poling B., 2013)

პირველად ამერიკამ თავისი პირველი ოფიციალური პოზიცია დააფიქსირა 1995 წელს, როდესაც ჩინეთმა მიშიფის რიფი დაიპყრო და ააშენა შენობა მასზე მიუხედავად ფილიპინების პროტესტისა. პირველ რიგში ამერიკის პოზიცია მდგომარეობდა იმაში, რომ მათ კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით გადაწყვეტა სურდათ, მათი აზრით

ჩინეთის მხრიდან ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილებები ზრდიდა დაძაბულობას რეგიონში, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ნებისმიერ ძალის გამოყენებას ან მისით მუქარას პრობლემის გადაასაწყვეტად. (State, 1995)

მეორე რაც მათ განაცხადეს იყო ის, რომ მათსავე ინტერესში შედის სამხრეთ ჩინეთის ზღვის რეგიონში მშვიდობა, მათი აზრით უნდა გაძლიერდეს დიპლომატიური კავშირები ქვეყნებს შორის და ყველა მოდავე მხარე უნდა იყოს ჩართული მოლააპრაკებებში, მათი აზრი უნდა იყოს გათვალისწინებული. (State, 1995)

მესამე რაც ამერიკისთვის მნიშვნელოვანი იყო და დაასსახელა იყო ტავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობა რეგიონში, როგორც საზღვაო ისე საჰაერო. (State, 1995)

მეოთხე პოზიცია, რაც ამერიკამ დააასახელა იყო ის, რომ ამერიკა არ დაიჭერს რომელიმე მხარეს, რადგანაც პატივს სცემს საერთაშორისო სამართალს პრობლემა კი საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბბამისად უნდა გადაწყდეს, ხოლო ნებისმიერი მოქმედება, რაც საერტაშორისო სამართლის ნორმებს არღვევს საფრთხის შემცველი იქნება ამერიკისთვის. (State, 1995)

ამის შემდეგ ასეანის წევრმა ქვეყნებმა დაიწყეს მოლაპარაკებები და 2002 წელს საბოლოოდ შეთანხმებასაც მიაღწიეს, სადაც განსაზღვრული იყო ქვეყნების ქცევის ნორმები სამხრეთ ჩინეთის ზღვაში. ეს პოზიცია ამერიკის მხრიდან დაფიქსირებული იყო უკანასკნელი პოზიცია, რაც მათ დააფიქსირეს და არ იცვლებოდა ობამას გაპრეზიდენტებამდე, როდესაც მან უკვე განსაკუთრებული დაინტერესება გამოთქვა რეგიონით. 23 ივლისს 2010 წელს ამერიკის გენერალურმა მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა ამერიკის ახალი პოლიტიკა რეგიონტან მიმარტებაში. მან გააჟღერა ის პოზიცია, რაც ამერიკას ჰქონდა 1995 წელს და ამას დაუმატა კიდევ რამდენიმე ასპექტი, ერთი ის, რომ ქვეყნების მიერ გამოთქმული პრეტენზიები პირველ რიგში უნდა იყოს ლეგიტიმური და გადაწყდეს მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით. (Clinton, 2010) მეორე კლინტონი ემხრობა საკითხის კოლაბორაციულ გადაწყვეტას ყველა მხარის მონაწილეობით, იძულების გარეშე. მას არ უთქვამს, რომ კონკრეტულად ჩინეთს ადანაშაულებდა რამეში, თუმცა მისი გამოსვლა ამაზე მეტყველებდა, როდესაც ხაზი გამუსვა ლეგიტიმურ მოთხოვნებს რეგიონში. ამით იგი აშკარად დაუპირისპირდა

ჩინეთის მათავარ ბერკეტს დავაში 9 ტირე, რომელიც რუკაზე ასახავდა ჩინეთის გავლენის სფეროს სამხრეთ ჩინეთის ზღვაში U ფორმის, მხარი დაუჭირქა UNCLOS. ამერიკამ მხარდაჭერა გამოუცხადა კოლაბორაციულ დიპლომატიურ პროცესს, მულტილატერალურ ურთიერთობებს და არა ბილატერალურს ან უნილატერალურს.

2010 წელს ამერიკის მიერ რეგიონში ახალი პოლიტიკის შემოღების შემდეგ გადაწყვიტეს სამხედრო კავშირების გაფართოება რეგიონის სხვა ქვეყნებთან. მაგალიტად მათ ბლოკი რომელიც დადებული ჰქონდათ ინდონეზიის სპეციალური ძალებისთვის კოპასუსთვის, (Buszynski, 2012) მოხსნეს. ეს შემოღებული იყო ამერიკის მიერ კანონი, რომელიც მათ უკრძალავდა ნებისმიერ საგარეო საჯარისო შენაერთთან კავშირს, რომელსაც ჰქონდა ისტორია ადამიანის უფლებების დარღვევის. (Buszynski, 2012) ამის საპასუხოდ ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მატრი ნატელგავამ უარყო ჩინეთის პოზიცია, რომ ამერიკა არტ უნდა ჩაერიოს რეგიონის საზღვაო დავებში, თანაც აღსანიშნავია, რომ ინდონეზიას აქვს ახლო ეკონომიკური კავშირი ჩინეთთან, (Buszynski, 2012) ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს თუ რაოდენ რამდენად რისკის ქვეშ დადგა ჩინეთის გავლენა რეგიონში. ქვეყანა, რომელიც მჭიდროდაა ჩინეთთან ეკონომიკურად დაკავშირებული ეწინააღმდეგება მის პოლიტიკას, ვინაიდან სავარაუდოდ უფრო ანგარიშგასაწევ ძალად მის კონკურენტს თვლის რეგიონში, ამ შემთხვევაში აშშ-ს. აშშ-ს ჩართულობა რეგიონში კი იმის საფრთხეს ქმნიდა, რომ სხვა ქვეყნებიც მას მიბაძავდნენ, სადავო ტერიტორიებზე დავა მულტილატერალურ კონტექსტში გადაწყდებოდა და ჩინეთი წამგებიან პოზიციაზე აღმოჩნდებოდა. ამის შემდეგ ამერიკამ უფრო გააღრმავა სამხედრო ურთიერთობები თავის პარტნიორ ფილიპინებთან და ვიეტნამთან.

ობამას მეორე პერიოდით არჩევის შემდეგ, ახალმა გენერალურმა მდივანმა ჯონ კერიმ ამერიკა ასეანის შეხვედრაზე განაცხადა, რომ ამერიკას, როგორც წყნარი ოკეანის სახელმწიფოს, აქვს ეროვნული ინტერესი მშვიდობის და სტაბილურობის შენარჩუნების, საერთაშორისო სამართლის პატივისცემის, ვაჭრობის და თავისუფალი მიმოსვლის სამხრეთ ჩინეთის ზღვაში. მისი განცხადებით ამერიკა არ იკავებს რომელიმე დავის მონაწილის მხარეს, თუმცა აქვს ინტერესი მეთოდების, რითაც დავა გადაწყდება და იმედი აქვს პროგრესის ამ საკითხში. (Kerry, 2019)

ამერიკას გააჩნია რეგიონში ეკონომიკური ინტერესი, რეგიონში თავისუფალი მიმოსცლა და შეუფერხებელი ვაჭრობა, საერთაშორისო სამართლის ნორმების დამკვიდრება, სამხედრო თანამშრომლობის დამყარება მისი ალიანსის წევრებთან რეგიონში.

პირველი მნიშვნელოვანი მიზეზი ამერიკის რეგიონით დაინტერესებისა არის ეკონომიკური, ყოველწლიურად იგი იღებს 5.3 ტრილიონ დოლარს. (Glaser, 2012)კრიზისის შემთხვევაში იგი ტრიოლონობით დოლარის ზარალს ნახავს, გარდა ამისა ახალი სავაჭრო გზის მოძებნის შემთხვევაში უფრო დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, ვინაიდან სამხრეთ ჩინეთის ზღვის გავლით ვაჭრობა ყველაზე იაფიანი და ამასთანავე მოკლე გზაა ამერიკასთან დასაკავშირებლად.

ამერიკას ასევე გარკვეულ ტერიტორიებზე აქვს ბუნებრვი რესურსების მოპოვების უფლება. რეგიონს აქვს დიდი პოტენციური რესურსები ბუნებრივი აირების და ნავთობის მარაგების, რაც კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რეგიონს.

მეორე ინტერესი, რაც ამერიკას აქვს ეს არის თავისუფალი მიმოსვლის საშუალება სამხრეთ ჩინეთის ზღვაში. გარდა იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე გადის მნიშვნელოვანი საზღვაო გზები, ამერიკას ეს გზები ჭირდება ჯარების გადასაყვანად აღმოსავლეთში სპარსეთის ყურეში საჭიროების შემთხვევაში. (Sokolsky, 2000) რაც შეეხება ღია ზღვების საკითხს, ჩინეთი ეწინააღმდეგება ამ შემთხვევაში ამერიკის პოზიციას, რომელსაც ზურგს უმაგრებს გაეროს კანონი ზღვაზე მიმოსვლასსთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ღია ზღვაში სამხედრო მიმოსვლა და დაკვირვებები ნებადართულია, (McDevitt, 2014), ჩინეთის განცხადებით ეს მტრული პოზიციაა ამერიკის მხრიდან რეგიონში სამხედრო გემების შეყვანა, ტანაც 2001 წელს მცირე საჰაერო შეტაკება მოხდა, ჩინეტს და ამერიკას შორის რომლის დროსაც ჩინეთის ერთი პილოტი დაიღუპა და თვითმფრინავი ჩამოვარდა, ამის შემდეგ 2009 წელს ჩინეთის სამხედრო გემები თავს დაესხნენ ამერიკის გემს რომელიც წყალქვეშა დაკვირვებებს აწარმოებდა. (McDevitt, 2014)

მესამე ფქაქტორი, რომელიც გულისხმობდა საერთაშორისო სამრთლის დამკვიდრებას რეგიონში, ჯონ კერიმ კიდევვ უფრო განავრცო 2014 წელს რჰავაიზე შეხვედრის დროს,

განაცხადა, რომ ყველა შესაძლებლობა რაც ისახება რეგიონში, მხოლოდ საერთაშორისო სამართლ;ის ნორმების ქვეშ არის შესაძლებელი და ამის შედეგად ყველა სახელმწიფო, მაძთ შორის პატარა სახელმწიფოები ტანაბარ პირობებში აღმოჩნდებიან.

ამერიკის მეოთხე პრინციპი რეგიონში, სამხედრო კავშირების გაღრმავება ალიანსი წევრებთან, პირდაპირ აპირისპირებს ჩინეთთან. ამ შემთხვევაში იგი იმისთვის, რომ დააბალანსოს ჩინეთი აღრმავებს ურთიერთობებს ფილიპინებტან. ამას გარდა აყალიბებს სამხედრო ურთიერთობებს და კავშირებს ვიეტნამტან და მალაიზიასთან, სამხრეთ ჩინეთის ზღვის მიმდებარედ იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან, ტაილანდთან, კამბოჯასთან, ლაოსთან, ონდონეზიასთამ ბრუნეისთან, ავსტრალიასთან ახალ ზელანდიასთან. სნგაპურთან, ამ ქვწეყნებში ამერიკამ მოიპოვა ბაზების განთავსების უფლება თავისი გემებისთვის. (Ring. H., 2012)

ამერიკის სტრატეგიას სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მოქმედებისას წარმოადგენს როგორც დიპლომატიის ისე სამხედრო ძალის დემონსტრირებას თუ გამოყენებას. სამხედრო კავშირები ვიეტნამთან და ფილიპინებთან მას აძლევს უფლებას, რომ შეიყვანოს თავსი სამხედრო გემები მათ ტერიტორიებზე. ერთიი მხრივ იგი ცდილობს დააბალანსოს ჩინეთი და მისი სამხედრო მოქმედებების პრევენცია მოახდინოს თავისი ჯარის იქ ყოფნით ხოლო მეორე მხრივ მოუწოდებს ქვეყნებს დაემორცილონ საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ჩინეთისთვის ამერიკის აღნიშნული პოლიტიკა ნიშნავდა წრის შექმნას საკუტარ რეგიონში, რომელიც მის მიმართ არამეგობრულად იქნებოდა განწყობილი.

ჩინეთი ამერიკისთვის უდიდესი სავაჭრო პარტნიორია, ამიტომაც მას სამოქმედოდ ისეთი სტრატეგია სჭირდება, რომ ეს პარტნიორობა საფრთხის ქვეშ არ დააყენოს. (Roberts, 2018) ამერიკას არ აწყობს ჩინეთთან კონფლიქტი ისევე როგორც რეგიონის სხვა ქვეყნებს, თუმცა ამასთანავე მას სჭირდება თავისი პარტნიორების დაცვა რეგიონში და პრევენციული მიზნით სამხედრო ძალის რეგიონში განლაგება. ეს ძალა შესაძლოა საერთოდ არ იყოს გამოყენებული, ვინაიდან არავის აწყობს სამხედრო დაპირისპირება ჩინეთს და ამერიკას შორის, თუმცა ჩინეთის ინტერესებისთვის ამ ძალის რეგიონში განლაგება მაინც საფრთხის შემცველია, ვინაიდან სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე გავლენის

დამყარება მნიშვნელოვან ეკონომიკურ მოგებას ნიშნავს, როგორც ზემოთ იყო საუბარი, სამხედრო ძალის განლაგება ამერიკის მხრიდან უფრო სტრატეგიული მნიშვნელობისაა, რათა რეგიონზე საკუთარი გავლენა შეინარჩუნოს.

ამერიკის სტრატეგია რამდენიმე მიდგომას მოიცავს: ჩინეთის კრიტიკა თავისი ძზალადობრივი მიდგომისთვის, სამართლიანი მეთოდებით დავის მოგვარება, ამერიკის სამხედრო ძალის რაოდენობის ზრდა რეგიონში, ამერიკის ალიანსის წევრების გაძლიერება, მულტილატერალურ ჭრილში პრობლემის მოგვარება.

ჩინეთისთვის სამხრეთ ჩინეთის ზღვა წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტს, იგი მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, იგი არის ასევე ბუფერი მისთვის სასიცოცხლო სავაჭრო გზამდე. მისთვის 4 ინტერესია უმნიშვნელოვანესი სამხრეთ ჩინეთის ზღვაში. პირველი: მას სურს დაიცვას თავისი ტერიტორია და ზღვიდან საკუთარი ეკონომიკის მამოძრავებელი ცენტრის დაცვა მეორე: ნედლეული, რომელსაც ის მოიპოვებს, სანამ პორტამდე მივა, არ იყოს საფრთხის ქვეშ, მესამე: ექსპორტის უსაფრთხოდ უზრუველყოფა სამხრეთ ჩინეთის ზღვის გავლით სხვა ქვეყნებში, მეოთხე ჩიენთს სურს ნავთობზე დამოკიდებულების შემცირება, აფრიკულ და სპარსულიყურის ნავთობზე, რომელსაც სახიფათო გზის გავლა უწევს ჩინეთამდე Malacca dilemma თუ აღმოჩნდება რომ მალაკას ნავთობის რეზერვები საკმარისია ჩინეთისთვის, ეს მისთვის კარგი გამოსავალი იქნეაბა, რადგან ახლოს ექნება ნავთობის საბადო, ჩინეთი თვლის, რომ ეს მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან ნავტობის გარეშე მისი ეკონომიკაც ვერ იარსებებს.

მალაკას დილემა

ამერიკის რებალანსირების სტრატეგიამ ჩინეთი კიდევ ერთი პოტენციური საფრთხის წინაშე დააყენა. ეს არის მალაკას დილემა, რაც გულისხმობს პოტენციურ საფრთხეს მალაკას სრუტის დაბლოკვის და ჩინეთის ენერგოუსაფრთხოებისთვის პრობლემის შექმნის.

ჩინეთი მსოფლიოს უდიდესი ენერგო მომხმარებელია, ხოლო მისი შიდა ენერგოპოლიტიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიოს ენერგო-ბაზრის ჩამოყალიბებაში. ჩინეთისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ენერგოუსაფრთხოებას, ვინაიდან გაზრდილ ეკონომიკასთან ერთად გაიზარდა მათი ენერგომოხმარების მაჩვენებელიც, ამიტომაც საჭიროა მუდმივად უზრუნველყოფა ქვეყნის საკმარისი ენერგიის, რათა შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს ეკონომიკური ზრდის ტემპი. კანგ ვუს მტკიცებით, ენერგოუსაფრთხოების მტავარი მიზანი არის ჩინეთის ეკონომიკა და მისი განვიტარების უზრუნველყოფა გრძელვადიან პერსპექტივაში. (Wu, 2014)

ის ეკონომიკური სიძლიერემ, რაც ჩინეთმა მოიპოვა უზრუნველყოფს ასევე მისი მთავრობის სიძლიერესაც, ხოლო მომავალში თუ შემცირდება ეს წინსვლა მტავრობის სიძლიერე და გავლენაც შემცირდება, ამიტომაც საჭიროა უზარმაზარი ეკონომიკის ენერგიით უზრუნველყოფა და ეს გადაიქცა მთავრობის უპირველეს საზრუნავად. (Wu, 2014)

მთავარი სატრანზიტო გზები გადის ინდოეთის ოკეანესა და სამხრეთ ჩინეთის ზღვის გავლით შუა აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების და მათ შორის ჩინეთის მიმართულებით. ლენის აზრით ამ გზის დარღვევის შემთხვევაში, რაიმე ინციდენტი სერიოზულ გავლენას მოახდენს გლობალურ ფასებზე ენერგო რესურსებზე ასევე რესურსების რაოდენობაზე. (Len, 2015)ასეთი წერტილები, რომლებიც მნიშვნელოვანია ამ სატრანზიტო გზაზე არის მალაკას და ჰორმუზის სუტეები. (Clifft, 2015)აღნიშნული სრუტე საფრთხეს უქმნის ჩინეთის ენერგოუსაფრთხოებას, ვინაიდან სინგაპურს, მალაიზიას და ინდონეზიას შეუძლიათ გადაწყვიტონ და სრუტე ჩაკეტონ. ასევე ლირონ ვანგის განცხადებით მეკობრეობა, ტერორიზმი ნავთობის ტანკერებზე მალაკას სრუტეში ტრანსპორტირების საფრთხეს ქმნის სრუტეში. (Lirong, 2015)

კრისტოფერ ლენის და ლირონ ვანგის განცხადებით არსებობს რამოდენიმე გზა პრობლემის გადასაჭრელად, პირველი არის თანამშრომლობა საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე საზღვაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მეოკობრეობის და

ტერორიზმის წინააღმდეგ მალაკას სრუტეში. მეორე გამოსავალი კი არის ჩინეთის საზღვაო ძალების გაძლიერება რეგიონში და საკითხით დაინტერესება, რაც პრობლემას წარმოადგენს, რადგან სხვა ქვეყნებში უნდობლ;ობას გამოიწვევს მისი სამხედრო ძალის გამოჩენა უსაფრთხოების დასაცავად, მაშინ როცა არსებობს მნიშვნელოვანი დავები რეგიონში. (Len, 2015) ასევე კიდევ ერთბ გამოსავლად შეიძლება ჩაითვალოს ჩინეთის მიერ ალტერნატიული გზების მოძიება გარდა მალაკას სრუტისა, ამ შემთხვევაში იგი აღარ იქნება დამოკიდებული ისეთ გზაზე, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას მისმა მტრულად განწყობილმა სახელმწიფოებმა,

მალაკას დილემა შეიქმნა ყოფილი ჩინეთის პრეზიდენტის ჰუ ჯინტაოს მიერ 2003 წელს, როდესაც საჯაროდ განაცხადა, რომ ზოგიერთმა ძალამ შეიძლება მოინდომოს მალაკას სრუტის გაკონტროლება და ამით დაემუქროს ჩინეთის ენერგოუსართხოებას. (Leung, 2014)

სამი მიზეზია თუ რატომ არის ყურადსაღები მალაკასდილემა. პირველი ეს არის ტრანსპორტირების პრობლემა, რადგან ვიწრო მალაკას სრუტე კარგი ადგილია ტანკერებზე მეკობრული თავდასხმებისთვის, ამას გარდა შესაძლოა ჩაძირულმა ტანკერმა გზაც ჩახერხგოს და ამით პრობლემა შეუქმნას ტრანსპორტირებას. (Leung, 2014)

მეორე არის ის ფაქტი, რომ იმმპორტირებული რესურსების დიდი ნაწილი შემოდის ამ ტერიტორიიდან და მისი პარალიზების შემთხვევაში. ამერიკას შეუძლია დაბლოკოს მალაკას სრუტე და ჩინეთს მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნას, მაგრამ ამის განხორციელება რეალობაში ნაკლებად სავარაუდოა. (Leung, 2014)

მესამე სერიოზული მიზეზია ჩინეთის კონფლიქტები სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, იაპონიასთან და სხვა ASEAN-ის ზოგიერთ ქვეყანასთან, ფილიპინებთან, მალაიზიასთან და ვიეტნამთან. ტერიტორიული დავები პარაკელის და სპარტლის კუნძულებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა.

ჩინეთი ცდილობს ალტერნატიული გზების გამოძებნას და მილსადენებით გარკვეულწილად ზღვიდან შემომავალი ნავთობის ჩანაცვლებას, თუმცა სრულად მისი

ჩანაცვლება მაინც ვერ მოხდება, გარდა ამის უფრო ძვირი ჯდება მილსადენების მშენებლობა და მისი დივერსიაც უფრო მარტივია. (Speed, 2004)

მიუხედავად კრიტიკისა ჩინეთის მთავრობა მხარს უჭერს მილსადენების მშენებლობას და ასევე ახალი სავაჭრო გზის აშენებას, ახალი აბრეშუმის გზის, რომელიც დაუკავშირდება შუა აზიას და ევროპასაც. (A.Bader, 2019) ამით ჩინეთი შეძლებს ენერგორესურსების მომწოდებლების დივერსიფიცირებას და ენერგოუსაფრთხოებასაც გააუმჯობესებს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც , რომ ახალი აბრეშუმის გზის მშენებლობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ყურადღებას იპყრობს, მაგრამ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა იაპონია და ASEAN-ის ქვეყნები არ მიესალმებიან ჩინეთის ეკონომიკური გავლენის ზრდას და ცდილობენ ხელი შეუშალონ მსგავს პროექტებს. (Speed, 2004)

მიანმარის შემხთხვევა

უკანასკნელი ხანების განმავლობაში ურთიერთობა მიანმარსა და ამერიკას შორის მოიცავდა მხოლოდ ჰუმანიტარულ დახმარებებს. ამერიკას და მიანმარს შორის ურთიერთობა გაფუჭდა მას შემდეგ, რაც პროდემოკრატიული მოძრაობის რეპრესია მოახდინა მიანმარის სოციალისტურმა ხელისუფლებამ. (WU, 2012)

ამის შემდეგ ვაშინგტონმა გადაწყვიტა სანქციები დაეკისრებინა მიანმარისთვის ადამიანის უფლებების დარღვევის გამო. რეიგანის და ბუშის ადმინისტრაციამ შეაჩერეს სამხედრო და ეკონომიკური დახმარების პროგრამა და შეწყვიტეს ვაჭრობა ამ ქვეყანასთან.

ამერიკამ ორჯერ სცადა გაეროს უშიშროების დღის წესრიგში დაეყენებინა მიანმარის საკითხი, მაგრამ ჩინეთმა და რუსეთმა ორივეჯერ დაბლოკეს. (PASSERI, 2013) ობამას მოსვლის შემდეგ სათავეში, როგორც ითქვა იგი დაინტერესებას გამოთქვამდა სამხრეტ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონით, მიანმარიც მოხვდა მისი მხედველობის არეში და გადაწყვიტა ხუნტასთან მაღალი დონის მოლაპარაკებები დაეწყო. (HAACKE J. , 2015)

პირველად მიანმარით დაინტერესება ამერიკამ 2009 წელს გამოხატა, როდესაც ჰილარი კლინტონი ინდონეზიას ეწვია. ამ დროიდან დაიწყო მაღალი დონის

შეხვედრები ხუნტას და ამერიკას შორის. სტეფან ბლაკე ამერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონის ოფისის დირექტორი შეხვდა, მიანმარის რამდენიმე მაღალი რანგის წარმომადგენელს. (MYOE, 2015)მიანმარი, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი იყო სანქციების მოხსნა და ასევე ჩინეთზე დამოკიდებულების შემცირება, სიამოვნებით დატანხმდა შეხვედრებს (PENEAU, 2019)

ამერიკის პირობა იყო, რომ ევროკავშირიც და თვითონ ამერიკაც მოხსნიდნენ სანქციებს თუ მიანმარში გაატარებდნენ გარკვეულ რეფორმებს. შემდეგ მოლაპარაკებები წარიმართა ამეიკის წარმომადგენლის, დერეკ მიტჩელის მეთაურობით, რომელიც უკვე ელჩის სტატუსით იყო. 2011 წელს ჰილარი კლინტონი ეწვია მიანმარს და ახლადარჩეული პრეზიდენტისგან სენ სეინისგან მიიღო დაპირება, რომ გაატარებდა რეფორმებს, გამოთქვა სურვილი, რომ სურდა საერთაშორისო საზოგადოებასთან ხელახლა დაკავშირება. ერთი წლის თავზე პრეზიდენტმა უკვე შეასრულა გარკვეული მოთხოვნები, გაანთავისუფლა პოლიტიკური პატიმრები, მშვიდობა დამყარდა მტავრობასა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის, კონკურენტი პარტნიორის წარმომადგენელს უკვე შეეძლო მონაწილეობა მიეღო არჩენებში სრულფასოვნად. მას მოჰყვა დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბება ამერიკასა და მიანმარს შორის, აღდგა საელჩოები. (MYOE, 2015)

ბარაკ ობამა იყო პირველი ამერიკის პრეზიდენტი, რომელიც ეწვია ამ ქვეყანას. 2012 წელს იგი ჩავიდა მიანმარში და იანგონის უნივერსიტეტში გამოსვლისას განაცხადა, რომ როდესაც პრეზიდენტი გახდა მან გასცა დაპირება იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც შიშით მართავენ, გაუწვდიდა დახმარების ხელს, თუ ისინი მოინდომებნდნენ მდგომარეობის შეცვლას, ასე რომ სწორედ ამ მიზნით იყო ის ჩამოსული მიანმარში, მას სურდა აღედგინა ურთიერთობები ამ ქვეყანასთან, საჭიროების შემთხვევაში დახმარებოდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეფორმების გატარებაში. ამას მოჰყვა ამერიკის მხდრიდან ურთიერთობების გაღრმავება მაინმართან, დაიწყო სხვადასხვა დახმარებების პროგრამები ამ ქვეყანასთან. მსგავსმა ურთიერთობების გაუმჯობესებამ ჩინეთში გარკვეული ეჭვები აღძრა და ჩათვალა, რომ ამერიკა საბოტაჟს ეწეოდა, საფრთხე ექმნებოდა მის ინტერესებს და გავლენას მიანმარში. (SUN, 2014)

ამერიკამ გარდა ეკონომიკური და დიპლომატიური თანამშრომლობისა, მიანმართან სამხედრო კავშირების სურვილიც გამოთქვა. ლეონ პანეტამ, ემრიკის თავდაცვის მინისტრმა, 2012 წელს მოიწვია მიანმარი ოქროს კობრაზე, ყველაზე დიდ საზღვაო წვრთნებზე წყნარი ოკეანის რეგიონში, რომელშიც მრავალი ქვეყანა იღებდა მონაწილეობას, 2013 წელს კი მიანმარმა დამკვირვებლის სტატუსით ორი ოფიცერი გაგზავნა წვრთნებზე. იმავე წელს მიანმარის პრეზიდენტი ეწვია ამერიკას, სადაც ვაჭრობის და ინვესტიციების ჩარჩო-ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, რის შემდეგადაც ვაჭრობა უნდა გაძლიერებულიყო მიანმარსა და ამერიკას შორის, 65 მილიონი დოლარიდან 370 მილიონ დოლარამდე 2015-თვის. (census, 2019)

ობამას განცხადებით ამერიკის მიანმართან დაახლოება არ შედიოდა რებალანსირების სტრატეგიის ჩარჩოში, არამედ ეს იყო უბრალოდ ადამიანის უფლებების დაცვის და დემოკრატიის მხარდაჭერისკენ გადადგმული ნაბიჯი, ასევე მისი განცხადებით ეს პოლიტიკა არ არის მიმართული ჩინეთის მისამართით, ასევე ჰილარი კლინტონის განცხადებით, ისინი სხვა ქვეყანასთან კონკურენციის გამო არ ცდილობენ მიანმართან ურთიერთობების გაუმჯობესებას ჰუ ზიონგის განცხადებით, ჰილარი კლინტონის მხრიდან მსგავსი მტკიცება არადამაჯერებელია, ვინაიდან მიანმარი ყველა ქვეყნისთვის რეგიონში უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოა, მისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე. (SUN, 2014) ჩემი აზრით არადამაჯერებელია ასევე ბარაკ ობამას განცხადება, რომელიც ფაქტიურად შემთხვეთობად წარმოაჩენს იმ დროის პერიოდს რა დროშიც მოხდა ურთიერთობების დათბობა მიანმარსა და ამერიკას შორის. მართალია რებალანსირების სტრატეგიის გამოცხადებამდე უკვე დაიწყო ურთიერთობებმა დათბობა, მაგრამ ეს გამომდინარეობდა ამერიკის დაანონსებული პოლიტიკიდან რეგიონში, ვინაიდან მიანმარი მნიშვნელოვნად იყო ჩინეთზე დამოკიდებული და გარანტიის არარსებობის შემთხვევაში მსგავს ნაბიჯს არ გადადგამდა, ხოლო ამერიკის მსგავსი პოლიტიკის დაანონსების დროს მოსალოდნელიც იყო რეგიონის ქვეყნების მხრიდან მსგავსი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა.

მიანმარის უნიკალური გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ასევე ყურადსაღებია. იგი წარმოადგენს ხიდს ჩინეთს, აღმოსავლეთ აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას შორის, ასევე გადამწყვეტი ფაქტორი უკავია გავლენების განაწილების სფეროში

ამერიკასა და ჩინეთს შორის, მიანმარის საშუალებით შესაძლებელია ასევე მალაკას სრუტის კონტროლი და ინდოეთის ოკეანესთან მარტივად დაკავშირება

ამერიკას მიანმართან ურთიერთობის დათბობის საშუალება ობამას გაპრეზიდენტების შემდეგ მიეცა, მას შემდეგ რაც შეცვალა ამერიკის პოლიტიკა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის მიმართულებით, თუმცა ამერიკას მცდელობები მანამდეც ჰქონდა მიანმარის მმართველობის სისტემის შესაცვლელად ასევე მასთან ურთიერთობის დასამყარებლად, განსაკუთრებით 2000იანი წლების შემდეგ გახდა აუცილებელი მიანმართან ურთიერთიობების დათბობის. (HAACKE J. , 2015)

დერეკ მიტჩელი, რომელიც ელჩი გახდა მიანმარში, მანამდე კი ამერიკის უბრალო დიპოლომატიური წარმომადგენელი იყო, ცნობილი იყო მისი მოწოდებებით და მხარდაჭერით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის ურთიერთობების გაღრმავებით, რაც პირველ რიგში, მიანმარს გულისხმობდა, გენერალური მდივნის დამხმარე აღმოსავლეთ აზიასთან ურრთიერთობის საკითხებში კურტ კემბელი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული მიანმართან ახალი პოლიტიკის ჩამოყალიბების საქმეში, მანამდე მონაწილეობას იღებდა საბჭოში, რომელიც ორიენტირებული იყო მზარდი ჩინეთის დაბალანსების გზების მოსაძიებლად. (HAACKE J. , 2015)

ამერიკა თუ დაუახლოვდა მიანმარს ახალი პრეზიდენტის მოსვლის შემდეგ, ჩინეთს პირიქით გაუცივდა ურთიერთობები. მაღალი თანამდებობის პირების ვიზიტი მიანმარში შეწყდა დაახლოებით 18 თვის განმავლობაში. (SUN, 2014)

მას შემდეგ რაც მიანმარი დაუახლოვდა ამერიკას, ჩინეთს არ გადაუდგამს აქტიური ნაბიჯები მიანმართან დასაახლოვებლად. ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რაც მან გადადგა იყო კაჩინის დამოუკიდებლობის ორგანიზაციასთან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მისაღწევად დახმარების აღმოჩენა. ეს მიანმარისთვის მნიშვნელოვანი იყო, რადგან საერთაშორისო საზოგადოებაში ადგილი დაემკვიდრებინა და დასავლეთთან ურთიერთობები გაეუმჯობესებინა, ჩინეთმა კი ამ პრობლემის მოსაგვარებლად დახმარება გადაწყვიტა.

1948 წელს ქვეყანამ დამოყკიდებლობას მიაღწია და ეთნიკურ უმცირესობებთან მთავრობამ გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მათ უნდა მიეცათ ამ

ეთნიკური უმცირესობებისთვის ავტონომია, თუმცა არცერთი მთავრობის შემადგენლობაში ეს დაპირება არ ასრულებულა. (LI, 2015)ამას მოჰყვა მუდმივი დაძაბულობა ეთნიკურ უმცირესობებს და მთავრობას შორის, ისე მოხდა, რომ მთავრობა ვერ აკონტროლებდა ქვეყნის დიდ ნაწილს, რადგან ეთნიკურ უმცირესობებს იქ ჯარი ჰყავდათ. ეს ტერიტორიები მდებარეობდა საზღვრებტან, ორი მათგანი კაჩინის ოლქი და შანის ჩინეთის საზღვარტან მდებარეობდა და მიანმარის არმიასთან ერთად მათი ჯარებიც იდგა საზღვართან. (SUN, 2014) 1994 წელს კი მიანმარმა ხელი მოაწერა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას ხელი.

2011 წელს მიანმარის მთავრობამ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება დაარღვია და შეტევა დაიწყო კატინზე,. მის მიზანს წარმოადგენდა მისი დაშლა, რადგან ერთადერთი აქტიური ორგანიზაცია იყო დარჩენლი, რომელიც იბრძოდა მტავრობის წინააღმდეგ, ასევე ქვეყანაში რეფორმების გასატარებლად მას სჭირდებოდა, რომ მსგავსი შეიარაღებული დაჯგუფებები არ ყოფილიყო ქვეყანაში ასევე ტერიტორიები, რომლებსაც ისინი ვერ გააკონტროლებდნენ. ამ კონფლიქტის განმავლობაში 2011 წლიდან 2013 წლის დასაწყისამდე, ჩინეთმა საკუთარი პოზიცია შეცვალა და გადაწყვიტა იმის მაგივრად, რომ ურთიერთობის გაყინვას დაუჭიროს მხარი, ორ მხარ მოლაპარაკებებში დაეხმაროს. 19 იანვარს ჩინეთმა გაგზავნა დელეგაცია მიანმარში და შეხვდა ორივე მხარის მეთაურს და განაცხადა, რომ სურს კონფლიქტის შეწყვეტა. ჩინეთის ჩართვამ პოზიტიური შედეგი გამოიღო მოლაპარაკებების წარმოების საკითხში, ზოგადად ეს უჩვეულოა მსგავსი ჩართულობა ჩინეთის მხრიდან, თუმცა ეს არ ხდებოდა ჩინეთის კეთილი ნების გამო. ჩინეთს შეეძლო მხარი დაეჭირა კატინის ოლქისთვის და ამით მას ბერკეტი მოეპოვებინა და ეიძულებინა მიანმარი, რომპატივის ეცა ჩინეთის ეროვნული ინტერესებისთვის, თუმცა ამას ასევე შეიძლებოდა უარყოფითი შედეგი გამოეღო და მიანმარი კიდევ უფრო მეტად დაახლოებოდა დასავლურ ძალებს, ამიტომაც ჩინეთმა მიიღო მსგავსი გადაწყვეტილება და შეეცადა რეგიონში მშვიდობა დაემყარებინა, რითაც მან მიანმარის კეთილი ნება მოიპოვა, გარდა ამისა ჩინეთი საერთაშორისო საზოგადოების თვალშიც უკეთ გამოჩნდა. ეს გადაწყვეტილება პირდაპირ იყო დაკავშირებული ამერიკის რებალანსირების სტრატეგიასთან, ჩინეთ-ამერიკის კონკურენციასთან რეგიონში. (SUN, 2014)

ამას მოჰყვა ამერიკის წარმომადგენლების ვიზიტი კაჩინის ოლქში, ამერიკის ელჩი ჩავიდა ამ ტერიტორიაზე, რიტაც გამოხატა ამერიკის დაინტერესება რეგიონით, ამან გამოიწვია ჩინეთის აღელვება, რადგან გავლენას კარგავდა კონფლიქტის გადაწყვეტაში, გარდა ამის შეიქმნა საფრტხე კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის, რაც ჩინეთისთვის მომგებიანი არ იყო. საფრთხე დაემუქრა ჩინეთის უსაფრთხოების საკითხსაც, ვინაიდან ამერიკა კონფლიქტის მოსაგვარებლად ჩართული იქნებოდა მის საზღვართან რეგიონში. ამას მოჰყვა ის, რომ მიანმარმაც და კაჩინმაც სურვილი გამოტქვეს გაეროს და დამკვირვებლის სტატუსით ამერიკის, დიდი ბრიტანეთის და ცინეთის ჩასართავად კონფლიქტის მოსაგვარებლად. (SUN, 2014)

ჩინეტისთვის მიანმარი მისი სტრატეგიული მდგომარეობიდან გამომდინარე იყო უმნიშვნელოვანესი, ამით იგი ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს ამერიკის გავლენის სფეროში მოქცევას საკუტარი ქვეყნის. მას შემდეგ რაც ხუნტა მოვიდა მიანმარის სატავეში, იგი სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გახდა ჩინეთზე დამოკიდებული. ჩინეთმა დაიწყო ინვესტიციების ჩადება მიანმარში, ასევე დაინტერესდა მისი ენერგორესურსებით და გარკვეულწილად მასზე დამოკიდებული გახდა. (HAACKE J. , 2015)

ჩინეთისთვის მიანმარის სტრატეგიული მდებარეობა ორი მიზეზიტაა განსაკუტრებიტ მნიშვნელოვანი, ერტი ის, რომ საშუალება მიეცემა თავისი საზღვაო ძალები ინდოეტის ოკეანეში ჰყავდეს და ამიტ წვდომა ჰქონდეს ინდოეტის ოკეანესტან, ხოლო მეორე ის, რომ ამერიკასთან კონკურენციის პირობებში შესაძლებელი იქნება მალაკას სრუტის, შესაბამისად ამერიკის მიერ კონტროლირებული საზღვაო გზების გვერდის ავლა და რესურსების პირდაპირ მიანმარის გავლიტ მიღება, ასე რომ ჩინეთისთვის მიანმარზე ზეგავლენის ქონა სასიცოცხლოდ მნიშვნეოლოვანია.

დასკვნა

დასკვნის სახით მინდეეა შევაჯამო ის გავლენა, რასაც ახდენს და შეუძლია, რომ მოახდინოს რეგიონზე ამერიკის შეერთებულ შტატებს, ასევე ჩამოვაყალიბო საკვლევი კითხვის პასუხი, თუ რატომ აღიქვა ჩინეთმა საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგოდ

ამერიკის რებალანსირების პოლიტიკა რეგიონში. ობამას მმართველობის პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა ა,შ,შ 2009 წელს დაანონსა და 2011 წელს უკვე ოფიციალურად დაიწყო რებალანსირების პოლიტიკა სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის რეგიონში. დაამყარა დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხედრო კავშირები რეგიონის ქვეყნებთან და ძალთა თანაფარდობამ და გავლენის სფეროს სიდიდემ აშკარად ამერიკის მხარე დაიჭირა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაფერი ვითარდებოდა სტრუქტურული ნეორეალიზმის ჩარჩოების მიხედვით. ამერიკის რეაქცია ჩინეთის გაძლიერებაზე იყო ბუნებრივი და ჩინეთის პასუხიც. ჩინეთმა სწორად შეაფასა მდგომარეობა და უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა ამიტომაც ამერიკის მიმართ. ამერიკის ჯარის გამოჩენა ჩინეთთან ახლოს, მის გარშემო ალიანსების შეკვრა, გეოსტრატეგიულ უმნიშვნელოვანეს პარტნიორთან მიანმართან ურთიერთობების გაუმჯობესება, მაშინ როცა დაახლოებით 20 წელი ფაქტიურად დიპლომატიური ურთიერთობები არ ჰქონდა ამ ორ ქვეყანას. ჩინეთმა მსგავსი ნაბიჯები საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ გადადგმულად აღიქვა, ჩინეთი აღმოჩნდა რთულ სიტუაციაში, მას აწუხებდა ასევე მალაკას დილემის საკითხი, ამერიკა აკონტროლებდა ჩინეთის საზღვა სატრანსპორტო გზის უმთავრეს სრუტეს, რაზეც ფაქტიურად იდგა ჩინეთის ეკონომიკა, ამ სრუტის ალტერნატივა ჰქონდა მიანმარის გავლით, რომლის გზის მოჭრასაც ცდილობდა ამერიკა.

საბოლოოდ მინდა ვთქვა, ობამას პრეზიდენტობის ბოლო წლებამდე ჩემი აზრით ამერიკა კარგად ახერხებდა ჩინეთის ზრდის დაბალანსებას, ხოლო ჩინეთის ინტერესები ბევრ საკითხში ირღვეოდა, იგი მაქსიმალურად ვერ იყენებდა საკუთარ შესაძლებლობებს, რადგან რეგიონში უამრავი დავა ჰქონდა და მის წინააღმდეგ მიმდინარეობდა აქტიური პოლიტიკა. თემაში კარგად გამოჩნდა, რომ მიუხედავად ამერიკელი მაღალჩინოსნების მშვიდობიანი განცხადებებისა და მიზნებისა რეგიონში, ჩინეთი პრობლემების წინაშე დადგა. ასევე როგორც თემაში გამოჩნდა, ამერიკა ჩინეთის მმართველობის წინააღმდეგიც იყო, მათ მთავრობის შეცვლის სურვილიც ჰქონდათ, რასააც არ მალავდნენ და გამოჩნდა ნაშრომში.

Bibliography

A.Bader, J. (2019, 07 09). *How Xi Jin Ping Sees the World.. and Why*. Retrieved from brookings: https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2016/07/xi_jinping_worldview_bader.pdf

Bade, J. (2012). *Obama and China's Rise: An Insider's Account of America's Asia Strategy.* The Brookings Institution.

BANK, T. W. (2019, 07 13). *THE WORLD BANK*. Retrieved from https://data.worldbank.org/indicator/ny.gdp.mktp.kd

Bank, W. (2019, 07 11). *World Bank*. Retrieved from https://data.worldbank.org/country/china

Buszynski, L. (2012). *The South China Sea: Oil Maritime Claims, and U.S. China Strategic Rivalry.* Center for Strategic and International Studies .

Canrong, J. (2019, 07 10). Retrieved from weforume.org: https://www.weforum.org/agenda/2016/12/america-china-relationship/

census. (2019, 07 11). Retrieved from https://www.census.gov/foreign-trade/balance/c5460.html

Chang, T.-K. (1991). China's Claim of Sovereignty over Spartly and Paracel Islands: a Historical and Legal Perspective. *Case Western Reserve journal of International Law*.

Christensen, T. J. (2019, 02 05). *foreignaffairs*. Retrieved from https://www.foreignaffairs.com/articles/asia/obama-and-asia

Clifft, W. (2015). Maritime Chokepoints: Key to Global Energy Stability. *Susris*.

Clinton, S. (2010, 07 23). *china.usc.edu.* Retrieved from https://china.usc.edu/remarks-press-availability-secretary-clinton-july-23-2010

Criekemans, D. (2017). *Towards a solution for the increasing tensions in the South China Sea.* University of Antwerp.

Defense, D. o. (2013). Remarks by Secretary Hagel at the IISS Asia Security Summit, Shangri-La Hotel,Singapore.

Defense, U. D. (2019, 07 11). Readout of Secretary Hagel's Meeting with Chinese State Councilor Yang. Retrieved from U.S. Department of Defense.

Donilon, T. (2013). *The United States and The Asia Pacific.* New York.

Dunne, T., Kurki, M., & Steve, S. (2016). *International Relations Theory* . Oxford University Press.

Exports, W. T. (2019, 07 13). *World's Top Exports*. Retrieved from http://www.worldstopexports.com

Gewirtz, P. (2016). *Limits of Law in the South China Sea.* Center for East Asia Policy Studies-Brookings Institution.

Glaser, B. (2012). *Armed Clash in the South China Sea.* Council of Foreign Relations.

HAACKE, J. (2015). *"Myanmar and the United States: prospects for a limited security partnership".* The United States Studies Center at the University of Sydney.

HAACKE, J. (2015). *"The United States and Myanmar: From antagonists to security partners?".* The United States Studies Center at the University of Sydney.

Hamanaka, S. (2014). TPP vs RCEP Control of Membership and Agenda Setting. *Asian Development Bank Paper*.

Hanemann, T. (2019, 07 11). *China Investment Monitor: Tracking Chinese Direct Investment in the U.S*. Retrieved from Rhodium Group: https://rhg.com/impact/china-investment-monitor/

Held, H. (2013). *Rebalancing to the Asia-Pacific Region and Implications for U.S. National Security.* Authenticated U.S. Government Information.

House, T. W. (2012). *Remarks by President Obama to the Australian Parliament.* The White House Office of the Press.

HOUSE, t. W. (2019, 07 11). *Obama white house Australia*. Retrieved from https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/2011/11/17/remarks-president-obama-australian-parliament

House, T. W. (2019, 07 12). *The White House Thailand*. Retrieved from : https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/2012/11/18/remarks-president-obama-and-prime-minister-shinawatra-joint-press-confer

Huang, J., & Fengg , Z. (2014). China's strategic partnership diplomacy: engagin with a changing world. *European Strategic Partnership Observatory*.

ISDP. (2019, 07 10). *Institute for Security & Development Policy*. Retrieved from http://isdp.eu/publication/understanding-chinas-position-south-china-sea-disputes/#_ftn7

Jisi, W. (2011). *China's search for a grand strategy.* Foreign Affairs.

Kerry, J. (2019, 07 10). *U.S.department of State*. Retrieved from https://2009-2017.state.gov/secretary/remarks/2013/07/211377.htm

Khoury E. (2017). *Recent Trends In The South China Sea Disputes.* The French Institute for International and Strategic Affairs.

Korkut, E., & Woo Hyun, K. (2017). *China's Nine Dash Line Claim in Light of the Ruling by the Permanent Court of Arbitration.* Penn State Journal of Law and International Affairs.

Len, C. (2015). *China's 21st Century Maritime Silk Road Initiative, Energy Security and SLOC Access.* Journal of the National Maritime Foundation of India.

Leung, G. C. (2014). *Securitization of Energy Supply Chains in China.* Applied Energy.

LI, Q. (2015). *North Myanmar minority issues & its impact on China-Myanmar relations",.* Chiang May University.

Lirong, W. (2015). Sea Lanes and Chinese National Energy Security. *Journal of Coastal Research*, 572-76.

Martin., M. F. (n.d.). *What's the Difference?—Comparing U.S. and Chinese Trade Data.* CRS Report RS22640.

McDevitt, M. (2014). *The South China Sea: Assessing U.S. Policy and Options for the Future.* Center for Naval Analyses.

McDonald, J. (2012). *AP Impact: China Surpasses US As Top Global Trader.* Associated Press.

MEARSHEIMER, J. J. (2019, 02 14). *mearsheimer.uchicago.edu*. Retrieved from http://mearsheimer.uchicago.edu/pdfs/StructuralRealism.pdf

MYOE, M. A. (2015). The United States and Myanmar: From antagonists to security partners. *Journal of Current Southeast Asian Affairs*.

Office, T. W. (2013). Remarks by President Obama and President Xi Jinping of the People's Republic of China Before Bilateral Meeting. *The White House Office*.

Office, T. W. (2019, 07 11). *"Remarks by President Obama and President Xi Jinping of the*. Retrieved from the WHITE HOUSE Obama Archieves: https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/2013/06/08/remarks-president-obama-and-president-xi-jinping-peoples-republic-china-

PASSERI, A. (2013). *"Hedging in search of a new triangle of non-alignment: Myanmar between China.* SISP Conference.

PENEAU, D. (2019, 07 11). *chinaperspectives*. Retrieved from https://journals.openedition.org/chinaperspectives/6192

Peng, Y. (2013). *In Search of Constructive US-China Interactions in the Asia-Pacific Region.* Journal of International Security Studies.

Poling B., G. (2013). *The South China Sea in Focus: Clarifying the Limits of Maritime Dispute.* Center for Strategic and International Studies (CSIS).

Pomfret, J. (2019, 07 10). *Washingtonpost*. Retrieved from https://www.washingtonpost.com/graphics/national/obama-legacy/relations-with-china.html?noredirect=on

Posner, M. (2019, 07 12). *Roosevelt House*. Retrieved from http://www.roosevelthouse.hunter.cuny.edu/events/michael-posner-human-rights-world-current-challenges-future-opportunities/

Ring. H., A. (2012). *U.S. South China Sea Perspective: Just Over the Horizon.* Harvard University.

Roberts, K. (2018). *Top 10 U.S. Trade Partners in 2017 can be broken into 3 Tiers.* Forbes.

Rosenberg, D. (2011). *Governing the South China Sea: From Freedom of the Seas to Ocean Enclosure Movements.* Middlebury College.

Ross, R. (2012). *Obama's New Asia Policy Is Unnecessary and Counterproductive.* Foreign Affairs.

Sokolsky, R. R. (2000). *The Role of Southeast Asia in U.S. Strategy Toward Cina.* RAND Corporation.

Speed, P. A. (2004). *Energy Policy and Regulations in the People's Republic of CHina.* Kluwer Law International.

State, U. D. (1995). *Daily Press Briefing*.

State, U. D. (2019, 07 11). *U.S.-China Strategic and Economic Dialogue Joint Opening Session*. Retrieved from U.S. Department of State: https://www.state.gov/remarks-secretary-pompeo/

Steinberg, J. B. (2009). Engaging Asia 2009: Strategis fo Success. remarks at national Bureau of Asian Research Conference, Washington D.C. .

SUN, Y. (2014). *"Myanmar in U.S-China relations", Great powers in changing Myanmar.* Issue brief.

Treasury, D. o. (2019, 07 11). *Major Foreign Holders of Treasury Securities,*. Retrieved from treasury.gov: https://ticdata.treasury.gov/Publish/mfh.txt

ustr.gov. (2019, 07 11). *Office of the United States Trade Representative*. Retrieved from https://ustr.gov/countries-regions/

Wu, K. (2014). *China's Energy Security:Oil and Gas.* Energy policy 73.

WU, M. (2012). Not backing down: China responds to the US rebalance to Asia. *Global Asia*.

Zhang, F. (2017). *Chinese Thinking on the South China Sea and the Future of Regional Security.* Political Science Quarterly.

Zhang, Z. (2011). China Responsibility Theories. *China Daily*.

აკოზია, ე. (2019, 02 12). *nplg.gov.ge*. Retrieved from http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL3.1.6&d=HASH011d8dcef9e5ffa0469c4593.4

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Giorgi tandashvili

U.S. Rebalance Strategy in Sout-East Asia

For Master's Degree in Diplomacy and International Politics

Thanks for help professor Eka Akobia

Tbilisi 2019